

დიუმანუა და დენერი

დონ სეზარ დე ბაზანი

დრამა 5 მოქმედებად

თარგმანი სიკო ფაშალიშვილისა

ანა მირიანაშვილის რედაქციით

მოქმედი პირნი:

კარლოს მეორე

მეფე ესპანეთისა

დონ ხოზე დე სანტარემ

პირველი მინისტრი

დონ სეზარ დე ბაზან

ესპანელი იდალგო <sup>1</sup>

მარკიზ დე მონტეფიორი

მარკიზა დე მონტეფიორი

მარიტანა

ქუჩაში მომღერალი ბოშა ქალი

ლაზარლიო

ჭაბუკი მესაჭურვლე

მეფის მცველი რაზმის კაპიტანი

მენავე

მოსამართლენი

ანტონიო

ალკალდი

დიდებულნი

ჯარისკაცები

ბოშები

ხალხი

მოქმედების ადგილი - მადრიდი

---

<sup>1</sup> იდალგო - მებრძოლი რაინდის თვისებების მატარებელი კეთილშობილი ესპანელი აზნაური

მოქმედება პირველი

ქალაქი მადრიდი

გამოსვლა პირველი

მარიტანა, მეფე, ხალხი, შემდეგ დონ ხოზე

ფარდის ახდისას ქუჩაში ხალხი შემოხვევია მომღერალ მარიტანას. განცალკევებით დგას შავ ტანისამოსში გამოწყობილი და ფართო წამოსასხამში გამოხვეული მეფე კარლოს მეორე. იგი ბეჯითად მისჩერებია და თვალს არ აშორებს მარიტანას. თითქოს მთელი არსებით გაუტაცნია მომღერალი ქალის ჭკრეტას. სცენის სიღრმეში გამოჩნდება დონ ხოზე სანტარემი. იგი გამოწყობილია კარლოს მეორის ეპოქის სტილის ხავერდის ტანსაცმელში: გულზე ოქროს ვერძის ძეწკვი ჰკიდია, წამოსასხამზე ამოქარგული აქვს კალატრავას ორდენის ჯვარი, წელზე დიდსახელურიანი დაშნა არტყია, სახეზე შავი ნიღაბი აქვს აფარებული, მის ტანისამოსს წამოსასხამი ფარავს.

მარიტანა როს კასტანიეტებს გრგვინვა აქვთ ხმაში,

ტამბურინები დე, სდუმდეს მაშინ!

მინდა ჩაკონე ვიცეკვო ტკბილად

და ჩემ შესახებ გაიმბოთ წვრილად:

როცა დედმამა დავკარგე მაშინ,

მე ვიზრდებოდი ბოშებთან მთაში

იქ ვინაობის არგასამხელად,

მე მარიტანა მომცეს სახელად!

მისამღერი ახ, მარიტანა, მარიტანა, მარიტანა!

ის გიმღერთ და თქვენ გართობას იწყებთ,

ახ, მარიტანას, მარიტანას, მარიტანას  
 აწ ვერასოდეს ვერ დაივიწყებთ!  
 ელ ვიდო ტრალა, ელ ვიდო ტრალა,  
 მარიტას, თქვენთვის ყველასთვის მუდამ  
 სიხარული და ხალისი უნდა,  
 რომ არ დაგჩაგროთ ბედის ტრიალმა.

ჩემი დაირა გიწვევთ და გელით,  
 მინდა გაგიქროთ სევდა-ნალველი,  
 მინდა გისურვოთ შუქი გულშია,  
 და გამარჯვება სიყვარულშია!  
 დამარცხდი? - სევდას ნუ მიეცემი:  
 მყის გაიხსენე სიმღერა ჩემი  
 და შენს ბაგეზე ღიმი-ოცნება  
 ბედნიერებად ასხივოსნება!

მისამღერი ახ, მარიტანა, მარიტანა, მარიტანა!  
 ის გიმღერთ და თქვენ გართობას იწყებთ,  
 ახ, მარიტანას, მარიტანას, მარიტანას  
 აწ ვერასოდეს ვერ დაივიწყებთ!

მარიტანა ცეკვავს, ხალხი სიმღერასა და ცეკვაში ჩაებმება.

შემახილები - მარიტანას გაუმარჯოს!

- მადლობა მაგ სიმღერისთვის!

- მოდი, გაკოცოთ, მშვენიერო!
- აჰა, დაიკო, დაიჭი ეს თეთრი მონეტები!
- ჯადოქარო! ალბათ დედის მუცლიდანვე დაგყვა ეგ მომიხიბლავი ცეკვა!
- ვაშა, მარიტანა, ვივა! კიდევ იცეკვე, კიდევ!
- სარაბანდა, სარაბანდა იცეკვე, მარიტანა!
- სიმღერაც ააყოლე, სიმღერაც, დაიკო!
- გიტარა მიაწოდეთ!
- შენ, ეი, ესკამილიო, რა შოშიასავით დაგიღია პირი! მთავარი გიტარა!

მარიტანა გიტარას ჩამოართმევს და მღერის:

კასტილიის მეფეს ერთხელ  
 შეუყვარდა გლეხის ქალი:  
 როცა ტყეში ნადირობდა,  
 მოიხიბლა ეშხით მთვრალი!  
 ყანის მთელი ტურფა ქალი  
 მეფეს ისე მოეწონა,  
 რომ ჯადოსნურ მის სიმღერას  
 უმალ გული დაუმონა,  
 მოიხურა მოსასხამი  
 ის წინ დახვდა ქალწულს გზაზე  
 და შეჰფიცა, რომ მხოლოდ ის  
 უყვარს მზიან ქვეყანაზე.  
 გლეხის ქალმა არ იცოდა,  
 რომ თვით მეფე ეტრფის გულით  
 და მიენდო მის სიყვარულს

შეაგება სიყვარული.  
 მაგრამ ერთხელ სარკმელიდან  
 დიდებულებს მოჰკრა თვალი:  
 ჰიდალგოს და გრანდებს შორის,  
 აი, მეფეს ხედავს ქალი,  
 „ღმერთო ჩემო! ეს ის არის!“  
 ხმა აღმოხდა საზარელი:  
 კასტილიის მეფეში მან  
 იცნო თვისი საყვარელი!  
 მაგრამ მეფე, დამერწმუნეთ,  
 მის სიმღერით იყო მთვრალი  
 და ის გლეხის ქალი გახდა  
 კასტილიის დედოფალი!  
 დღესაც ახსოვთ თუ დედოფლად  
 როგორ გახდა გლეხის ქალი,  
 ვისმა ჰანგმაც კასტილიის  
 მეფე დასწვა ტრფობის ალით!

გუნდი (იმეორებს) დღესაც ახსოვთ თუ დედოფლად  
 როგორ გახდა გლეხის ქალი,  
 ვისმა ჰანგმაც კასტილიის  
 მეფე დასწვა ტრფობის ალით!

კვლავ აღტაცებული შექაზილები. მარიტანა ხალხს ჩამოუვლის გაწვდილი დაირით.  
 მას უხვად ასაჩუქრებენ.

- მეფე (მარიტანას თვალს არ აშორებს) რა მშვენიერი ქალია!
- დონ ხოზე (დააცქერდება მეფეს) ის არის! ისევ ის არის! აი, უკვე მესამედ ვხვდები ასეთ დროს, ერთსა და იმავე ადგილას!
- მარიტანა (მეფესთან მიიღბენს) გთხოვთ, სინიორ!
- მეფე წმინდაო ღვთისმშობელო, რა მშვენიერი ქალია!
- მარიტანა ნუთუ თქვენს ბრწყინვალეობას მარიტას სიმღერის ჯილდოდ არაფერი ემეტება გარდა მკაცრი და სევდიანი შემოხედვისა? აბა, აბა, ჩემო სინიორ, ჯიბეზე ხელი გაიკარით! დარწმუნებული ვარ, მაგ თქვენი საფულის ძირში აღმოაჩენთ რამდენიმე საცოდავ მარავედს (მონეტას)!
- (მეფე თვალმოუშორებლივ, გაწვდილ დაირაში ჩაუგდებას ოქროს მონეტას და სასწრაფოდ გადის)
- ოო, წმინდაო მარიამ!.. ოქროს ფული! მთელი კვადრუპლი! ნამდვილი, საუცხოო ოქროს კვადრუპლი! მე კი შიშით კვანკალებდი, როცა ამ კავალერთან ჯილდოს სათხოვნელად მივდიოდი! თან რა ცივად მიმზერდა: მისი სუსხიანი გამოხედვისაგან კინადამ ყინულის ლოლუად გადავიქეცი! მაგრამ რად ვამბობ აუგს - ის ალბათ ვინმე თავმომწონე წარჩინებული ბრძანდება, უთუოდ დიდსულოვანი და კეთილი გულის პატრონი. და, რაც მთავარია, - ძალიან მდიდარი უნდა იყოს!
- დონ ხოზე (მიუახლოვდა მარიტანას) უხვად დაგაჯილდოვეს?
- მარიტანა უხვად ?! შეხედეთ! (აჩვენებს ოქროს ფულს) ნეტა ვინ არის ეგ კეთილშობილი სინიორი?
- დონ ხოზე ეგ გახლავთ დონ რაფაელ დ'არპინა, მთელს ესპანეთში ყველაზე მდიდარი ბანკირი! (იქით) ო, თქვენო ბრწყინვალეობავ, მაგ წინდაუხედაობით შეგეძლოთ გაგეცათ თქვენი თავი!
- (ისმის ზარების რეკვა)
- მარიტანა ღვთისმშობლის ლოცვა იწყება!

(ყველანი მუხლს მოიყრიან, შემდეგ წამოდგებიან და ერთიმეორის მიყოლებით ტოვებენ მოედანს)

ყველამ მიმატოვა. ჩემი მხიარული სიმღერა მოსაწყენ მესაზე გაცვალეს. მაგრამ არ ვჯავრობ! (მიამახებს მიმავალთ) ნახვამდის, მეგობრებო! ნახვამდის! მალე დაბრუნდით. მარიტანა დაგიცდით, ერთი საათის შემდეგ შეგიძლიათ აქვე მნახოთ. მე გიმკითხავებთ და მომავალს გიწინასწარმეტყველებთ. (აცილებს მიმავალთ)

### გამოსვლა მეორე

#### მარიტანა და დონ ხოზე

- მარიტანა (უკან შემობრუნდება) აღარავინ დარჩენილა!
- დონ ხოზე პირიქით... აქ არის თქვენი მეგობარი.
- მარიტანა მეგობარი?
- დონ ხოზე რომელსაც ასევე სურს დაგაჯილდოოთ სიმღერისგან მიღებული სიამოვნებისთვის. (აძლევს კვადრუპლს)
- მარიტანა კვადრუპლი! (ნაღვლიანად) კიდეც ერთი.
- დონ ხოზე რა სევდიანად თქვით?! გეგონება, ჩემი საჩუქარი გეწყინათ!
- მარიტანა მართალსა ბრძანებთ, მონსენიორ!
- დონ ხოზე რატომ?
- მარიტანა (დაბნეული) რატომ?
- დონ ხოზე გიმეორებთ, რომ მე თქვენი მეგობარი ვარ... შეგიძლიათ მენდოთ... აბა, გისმენთ... (მარიტანა სდუმს) მაინც ყოყმანობთ?
- მარიტანა მაპატიეთ, მონსენიორ, მაგრამ მე მეტისმეტად ღარიბი ვარ იმისთვის, რომ მდიდარი მეგობრები მყავდეს. თანაც, დედა ისე ადრე დავკარგე, რომ გადავეჩვიე ჩემი სიხარულისა თუ დარდის გაზიარებას!



- დონ ხოზე მაგრამ მაინც რატომ გაგაჯავრათ ასე ჩემმა კვადრუპლმა?
- მარიტანა იმიტომ რომ... იმიტომ რომ... ეს ან მეტისმეტად ბევრია, ან მეტისმეტად მცირეა ჩემთვის.
- დონ ხოზე როგორ?
- მარიტანა იცით, როცა ბავშვი ვიყავი და ცეკვა-სიმღერით ყველას თავს ვაბეზრებდი, რამდენიმე გროშს გადმომიგდებდნენ ხოლმე, რომ თავიდან მოვეშორებინე... ახლა კი, როცა უკვე ქალი გავხდი, აღარ მაგდებენ, პირიქით, სიამოვნებით მისმენენ და არა მარტო მისმენენ, არამედ გულდასმითაც კი მათვალისწინებენ. ახლა უკვე ზიზღით კი არ გადმომიგდებენ თითო მარავედს, მერიალებით და ზოგჯერ კი ოქროთიც მაჯილდოებენ.
- დონ ხოზე მერე, რა არის მაგაში ცუდი?
- მარიტანა (გაბედულად) ამ ოქრომ, მონსენიორ, სულის სიმშვიდე დამირღვია. ბავშვობისას თავი ბედნიერად მიმაჩნდა, როცა ხვალინდელი დღისათვის ლუკმა პურს დავიგულეებდი... ახლა კი ჩემში პატივმოყვარეობამ და ამაყმა ოცნებებმა გაიღვიძეს... და როცა საღამოჟამს ნაჩუქარ მონეტებს ვითვლი, სასოწარკვეთილებმა მიპყრობს. ვფიქრობ, თუ ჯერ კიდევ რამდენი ოქრო მაკლია იმისათვის, რომ შევიძინო ყველა ლამაზი კაბა, ძვირფასი სამკაული, ის, რაზედაც ვოცნებობ და რაც მხოლოდ ჰერცოგების ცოლებს აქვთ, რომელთაც მე შურით ვუცქერი.
- დონ ხოზე პატივმოყვარე და კეკლუცი ყოფილა... ეს კარგია...
- მარიტანა ჩემს უგუნურებას დასცინით, მონსენიორ, ხომ მართალია?
- დონ ხოზე მადონას ვფიცავ, არა! მე ვფიქრობ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველა ოცნება აგისრულდებათ.
- მარიტანა გგონიათ გამაკვირვებ, სინიორ?! დიახ, მე რალაცნაირი წინათგრძნობა, უფრო სწორად - იდუმალი იმედი მარწმუნებს, რომ ყველა ოცნება ამისრულდება... სხვათა შორის, მადრიდში ჩემზე ლაპარაკობენ... მეტად მაღალი მდგომარეობის

ადამიანები... და მათ შორის ერთი ისეთი, რომელიც ყველაზე მაღლა დგას და ყველაზე ძლიერია...

დონ ხოზე (იქით, ძლიერ გაკვირვებული) მეფეს გულისხმობს? (მარიტანას) მაგას ვისზედა ბრძანებთ?

მარიტანა დედოფალზე მოგახსენებთ.

დონ ხოზე (გაოცებით) ვისზე?

მარიტანა დედოფალზე. მას არაერთხელ შეუჩერებია თავისი მეფური ეტლი, რომ ჩემთვის მოესმინა; იღიმებოდა ჩემს მხიარულ სიმღერებზე და ტიროდა ნაღვლიანი ბალადების გაგონებაზე. (ამაყად) დიახ, მონსენიორ, მე ვაიძულე დედოფალი, რომ ეტირა ჩემს სიმღერაზე.

(ამ დროს სცენის იქიდან მოისმის ხმა: „გზა დედოფალს, გაუმარჯოს დედოფალს!“ მარიტანა აღტაცებული შესძახებს) დედოფალი ბრუნდება ეკლესიიდან. გავიქცევი და წინ დავუხვდები. იქნებ კიდევ მივალწიო იმას, რომ მშვენიერ თვალებს გადმოვაფრქვევინო თუნდ ერთი ცრემლი! (გარბის)

#### გამოსვლა მესამე

დონ ხოზე (მარტო) დიახ! ყველაფერს დაეუფლები, რაზეც კი ოცნებობ! შენ ახლაც კი ათასჯერ მეტ საუნჯესა ფლობ, ვიდრე ის მაღალი წრის ქალები, ვისიც გშურს. შენ მეფის მძინარე გულის გაღვიძება შეძელი. დიახ, იგი შეყვარებულია! ამურის ისარი მოხვედრია ჩვენი მკაცრი და სევდიანი მონარქის გულს, რომელიც აქამდე მიუწვდომელი იყო ყოველგვარი ცდუნებისა და ტრფილისათვის. მისი თვალი ჯერ არ შეჩერებულა არც ერთ ქალზე და, შესაძლოა თვით თავის ცოლზედაც კი... მაშ ასე, მას ჰქონია გული და ჰქონია სურვილებიც. მშვენიერია. სწორედ მათ გავიხდი უძლეველ მოკავშირეებად... თუ მეფეს საყვარელს გავუჩენ, შევძლებ დავეუფლო მას, ვისზედაც დიდი ხანია ვოცნებობ. დიახ, მე დედოფლის საყვარლობა მწადა! ქმრის ღალატით შეურაცხყოფილი დედოფალი უარყოფს მას და მაშინ... ვინ იცის, როგორ გაიფურჩქნოს ჩემი იმედი... და თუ მის გულში

ექვის გაღვივება შევძელი, (იდუმალად) საწადელსაც მივალწევ! (დაფიქრდება) მაგრამ რა გზით მივალწიო მიზანს? ჩვენი სასახლის მკაცრი ეტიკეტის გადამკიდე, ესპანეთის მეფე ხალხიდან გამოსულ ქალიშვილს ვერასგზით დაუახლოვდება. ეს დაუძლეველი დაბრკოლებაა, მაგრამ თუ მინდა, რომ მეფის ყველა ფიქრი ამ ქალისკენ შემოვაბრუნო და მისი სურვილები მგზნებარე ვნებად ვაქციო, უნდა მოვახერხო მარიტანას სასახლეში შეყვანა... ისე უნდა მოვახერხო, რომ მეფე მარიტანას დაუახლოვდეს. ამისათვის კი საჭიროა მან მიიღოს წოდება, ფული, სახელი, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რასაც იძლევა მაღალი წრის პირზე გათხოვება... გარდა ქმრისა, რასაკვირველია... (მოედნის კუთხეში არსებული ბანქოს სათამაშო სახლიდან საშინელი ხმაური გამოდის) კიდეც ჩხუბი და აყალმაყალი. უთუოდ დავხურავ ამ ბებერი ინასის დუქანს...

### გამოსვლა მეოთხე

#### დონ ხოზე და დონ სეზარი

დონ სეზარი

(ოდნავ შექეიფიანებული გამოდის ბანქოს სათამაშო სახლიდან. დაჭმუჭნილი ქუდი ახურავს, ფართო, დაფხრეწილი წამოსასხამი აქვს მოსხმული, ქვეშიდან მოუჩანს ცუდად აჭიმული წინდები და დახეული ფეხსაცმელი. წელზე ბრეზენტის დაშნა არტყია. კარისკენ პირშებრუნებული ყვირის)

თქვე საცოდავო თაღლითებო! თქვენს ბინძურ სხეულზე ჩემი მშვენიერი დაშნის გასვრა რომ არ მენანებოდეს, სიამოვნებით გასწავლიდით ჭკუას. ვიღაც ვიგინდარებმა პირწმინდად გამფცქვენეს! (ჯიბეებს გადმოიბრუნებს) გროშიც კი აღარ შეურჩენიათ. ახლა თუ განგებამ მამღრისი ვახშამი და ღამის გასათევი წყნარი ბინა არ გამომიგზავნა, ჩემი საკვები ეს გრილი ჰაერი იქნება, ხოლო ვარსკვლავიანი ზეცა საბნის მაგივრობას გამიწევს. რას იზამ, სამაგიეროდ ლოგინი ცხელი არ მექნება და ვახშამი მძიმე.

- დონ ხოზე (იცნო დონ სეზარი) არა, ხომ არ ვცდები? ეს ხომ დონ სეზარ დე ბაზანია?
- დონ სეზარი დონ ხოზე დე სანტარემ! (იქით) რა გულმოდგინედ შენიღბულა!
- დონ ხოზე მოგესალმებით. დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს!
- დონ სეზარი ეგ მართალია, ერთმანეთი არ გვინახავს იმ დღის შემდეგ, რაც ჩემი მშობლიური ქალაქი მადრიდი მივატოვე.
- დონ ხოზე თქვენ მგონი გულმოსული ხართ მადრიდზე?
- დონ სეზარი ძალიან... იქ ისეთი გულისფანცქალით მოელოდნენ ჩემს დაბრუნებას... ისე დიდხანს მეძებდნენ, რომ...
- დონ ხოზე (ირონიით) რომ თქვენი შუბლი პოეტის დაფნის გვირგვინით შეემკოთ, არა? თქვენ ხომ ერთხელ პოეტობდით, რამდენადაც მახსოვს...
- დონ სეზარი არა, მაგისტვის არა!
- დონ ხოზე მაშ, რისთვის?
- დონ სეზარი იმისათვის, რომ დამაპატიმრონ!...
- დონ ხოზე რატომ? ისეთი რა ჩაიდინეთ?
- დონ სეზარი სონეტი... სონეტი დავწერე, სასიყვარულო სონეტი.
- დონ ხოზე მერედა, მაგისტვის გდევნიდნენ?
- დონ სეზარი ამისათვის და კიდევ დაშნის შემოკვირასთვის!
- დონ ხოზე დაშნის შემოკვირისათვის?
- დონ სეზარი დიახ, რომელიც საუბედუროდ პირდაპირი მისამართით ვერ შემოგუქნიე და ახალგაზრდა ჰერცოგი ოლივანეტი უდროოდ გავაგზავნე საიქიოს.
- დონ ხოზე მაშ, ვისთვის გნებავდათ დაშნის შემოქნევა?

- დონ სეზარი           თქვენთვის! ვინაიდან მეგონა, მოგისწრებდით მშვენიერი ხასინტას წინაშე დაჩოქილს, როცა ჩემი კალმით სარგებლობდით და მას ჩემს სონეტს უკითხავდით!
- დონ ხოზე               მაშ მომილოცავს თქვენთვის ეს შეცდომა!
- დონ სეზარი           არ ღირს! ეს შეცდომა ჩემი სურვილის წინააღმდეგ მომივიდა! ამიტომაც მივატოვე უმადური სამშობლო და ჩემი მოღალატე საყვარლები!
- დონ ხოზე               აღბათ გინდოდათ გეთქვათ, საყვარელიო.
- დონ სეზარ             არა, დონ ხოზე, საყვარლები... მე ოთხი საყვარელი მყავდა და მათთან რვა მეტოქე.
- დონ ხოზე               რვა? და თქვენ...
- დონ სეზარ             მე მეცხრე ვიყავი! და რადგანაც მხოლოდ ერთი მეტოქის მოკვლისთვის მდევნიდნენ, რასაკვირველია, გესმით, რომ დანარჩენი შვიდი ჯერ კიდევ კარგად გრძნობს თავს! არ ვიცოდი, საით გავქცეულიყავი და თავში უცებ ერთი ბრწყინვალე აზრი მომივიდა: არასოდეს მინახავს ვეზუვი და ლაჟვარდი ცა, რომელიც მას აგვირგვინებს. მოდი, ნეაპოლში წავალ-მეთქი, ვიფიქრე. იქ ესპანეთის მეფისნაცვალ ბატონობს, რომელსაც გამბედავი ახალგაზრდა იდალგოები სჭირდება. ვიფიქრე - ის გაიგებს-მეთქი ჩემს მდგომარეობას, მფარველობას გაუწევს ჩემს კეთილ განზრახვებს და სხვა არა იყოს-რა თავისი ცოლის წინაშე დაჩოქილი, ჩემს ლექსებს მაინც არ წაიკითხავს-მეთქი! მაშ ნეაპოლისკენ - ვუთხარი ჩემს თავს! ავდექი და ნეაპოლში ამოვყავი თავი. მაგრამ ეს სამი წელი იქაც სასიყვარულო თავგადასავალში გავატარე. ყველაზე მოუსვენარ და ფანტასტიკურ თავგადასავალში, დაუსრულებელი, პირდაპირ ზღაპრული ორთაბრძოლები გადამხდა თავს, ბოლოს და ბოლოს ამასაც შევურიგდი და გულით შევიყვარე ეს მშვენიერი ქალაქი. მაგრამ ნახეთ, ბედის ვერაგობა: ამ ქალაქმაც მიღალატა და მტრების ხელში ჩამაგდო. ო, ეს ყველაზე საშინელი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში. მე კვლავ გაგდებული აღმოვჩნდი. კვლავ

მდევიდნენ... ჩემს საპეზნელად ცოფიანი ძაღლების ხროვა გამოუშვეს.

დონ ხოზე ალბათ რომელიმე უნუგემოდ ეჭვიანმა საყვარელმა, არა?

დონ სეზარი ო, არა, საყვარელმა კი არა, ჩემმა მევალებმა... მაგრამ ამის გახსენება აღარ მინდა. სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, აი, მაგალითად თქვენს გატაცებებზე, დონ ხოზე!

დონ ხოზე ჩემს გატაცებებზე?

დონ სეზარი ალბათ ბევრი გატაცება გაქვთ. ჩვენ ოდესღაც მეტოქეები ვიყავით და, როგორც მახსოვს, ხშირად მედავებოდით ჩემს მონაპოვარს.

დონ ხოზე მაშინ ახალგაზრდები ვიყავით!

დონ სეზარი ახალგაზრდები და თანაც ბრწყინვალე იდაღოები. (დახედავს თავის მოსასხამს) როგორ იცვლება ყველაფერი....

დონ ხოზე თქვენ კეთილშობილი სახელისა და დიდი ქონების პატრონი იყავით.

დონ სეზარი პირველი ბოლომდე შევინარჩუნე, ხოლო მეორე - დაკვარგე...

დონ ხოზე თქვენმა გაკოტრებამ თავის დროზე დიდი ხმაური გამოიწვია.

დონ სეზარ დიახ, ჩემი მევალები ძალიან ხმამაღლა ყვიროდნენ.

დონ ხოზე და თქვენი მდგომარეობა არც შეცვლილა: ვადაგასული ვალდებულებები და გადაუხდელი ვალები - ეს მეტად მძიმე ტვირთია!

დონ სეზარი მაგას რა უშავს?! უფრო მძიმე ტვირთის ზიდვა მიხდება.

დონ ხოზე ეგ რაღა ტვირთია?

დონ სეზარ ახალი ვალების შოვნა!

დონ ხოზე ამრიგად, თქვენ ნეაპოლი დატოვეთ...

დონ სეზარი და მხოლოდ დღეს დავბრუნდი მადრიდს!

დონ ხოზე ამ ხნის განმავლობაში სადღა იყავით?

- დონ სეზარი ყველგან, სადაც კი იბრძვიან, მღერიან და უყვართ!
- დონ ხოზე მხიარულად ცხოვრობდით?
- დონ სეზარი არცთუ მხიარულად... მოგეხსენებათ, სიყვარულისა და ღვინისთვის ყველგან ფულის დახარჯვაა საჭირო: ასე თუ ისე, წინ ვუსწრებდი ჩემს სახელს, არც კი მაინტერესებდა რა ერქვა იმ ადგილებს, სადაც გავლა მინდებოდა, მაგრამ ჩემს გზაზე მევალებთან და ეჭვიანობით გასულელებულ მეტოქეებთან დუელებს ვთესავდი. სამშობლო ქალაქში დაბრუნებისას კი - სწორედ ამ კვალზე მოვყვებოდი გზას.
- დონ ხოზე მადრიდში რალამ მოგიყვანათ?
- დონ სეზარ იმედმა, ტკბილმა და უაზრო იმედმა: აი, დავბრუნდები, ვინუგეშებდი თავს, - ერთიც ვნახოთ, ბედმა გამიღიმა და ჩემი მევალები გარდაცვლილები დამხვდნენ-მეთქი! რა თავის მოტყუებაა! ბედი უკუღმა სჯის: მოვალე შეიძლება მოკვდეს, მევალე კი - არასოდეს! ჩემი აქ დიდი ხნის არყოფნის მიუხედავად, მათი რიცხვი კიდევ უფრო გაზრდილა!
- დონ ხოზე რანაირად?
- დონ სეზარ შვილები და შვილიშვილები გასჩენიათ. მაგრამ ამას თავი დავანებოთ. ახალი რა არის მადრიდში? ისევ ისე მღერიან და იბრძვიან?
- დონ ხოზე ორთაბრძოლა ახლა იშვიათად იმართება. მეფემ, საფრანგეთის მაგალითისამებრ, დუელი აკრძალა. ამ ბრძანების დამრღვევი სიკვდილით დასიჯება.
- დონ სეზარი ასმა ეშმაკმა წაიღოს! სიკვდილით დასჯა დაშნის ერთი შემოკვრისათვის!
- დონ ხოზე დიახ! ვინც ორთაბრძოლას გამართავს, დახვრეტენ. ეს მთელი წლის განმავლობაში - გარდა შობის კვირისა.
- დონ სეზარ ის კი - ვინც შობის კვირაში იბრძოლებს?
- დონ ხოზე ვინც შობის კვირაში იბრძოლებს, მას ჩამოახრჩობენ.

- დონ სეზარ ეგ რა ბრძანეთ! სწორედ დღეს იწყება შობის კვირა.
- დონ ხოზე დიახ, სწორედ დღეს.
- დონ სეზარ გმადლობთ გაფრთხილებისთვის. პირდაპირ უცოდველი კრავი გავხდები... ამ კვირაში მაინც არ ვაპირებ, რომ ჩამომახრჩონ. რაც შეეხება დახვრეტას, მაგის მოფიქრებას მომავალ კვირაშიც მოვასწრებ... მაგრამ თქვენ შესახებ მაინც არაფერი მითხარით. პირწავარდნილი თავკერძა იყავით, დიდად პატივმოყვარე, რას მიაღწიეთ, რას წარმოადგენთ?
- დონ ხოზე არაფერს.
- დონ სეზარ არაფერს? მაშ ცოტათი ჩემზე მეტი ყოფილხართ.

#### გამოსვლა მეხუთე

დონ ხოზე, დონ სეზარ, მენავე და ლაზარილიო

- მენავე (ხელმოკიდებული ლაზარილიო შემოჰყავს) წამოდი, პატარავ, წამოდი... შენ დედასთან უნდა დაბრუნდე... მოიწმინდე ეგ ცრემლები და ასეთ სისულელეებზე მეტად აღარ იფიქრო.
- ლაზარილიო (ხელიდან უსხლტება) თქვენ სცდებით, ბიძია. რაკი ჩემთვის სიკვდილი აუცილებელია, ყოველთვის გამოვინახავ ამის საშუალებას.
- დონ სეზარ რაო, რაო? ვინ ლაპარაკობს სიკვდილზე, ეს ბალდი?
- დონ ხოზე დიახ, მართლა რომ ბალდია!
- მენავე ბალდი, რომელიც თავის დახრჩობას აპირებდა.
- დონ სეზარ თავის დახრჩობას? წყალში?
- მენავე მაშ, თქვენი აზრით, კიდევ რაში შეიძლება ჩახრჩობა?
- დონ სეზარ ეგ სულ ერთია! მაშ ასე, შენ თავის დახრჩობა გინდოდა?
- ლაზარილიო მინდოდა და ახლაც მინდა!



- დონ სეზარ (სერიოზულად) ნუთუ ასეთ პატარა ბაღს უკვე მევალები გყავს?
- ლაზარილიო მე მესაჭურველობას ვსწავლობ და მეფის მცველთა რაზმის მუშაკების მეთვალყურეობა დამავალეს.
- დონ სეზარ და წყალში აპირებდი თავის დახრჩობას, როცა ამდენი იარაღი შენ ხელთა ყოფილა? მამ შენი ხელობა არა გყვარებია.
- ლაზარილიო თავის დახრჩობა იმიტომ მინდოდა, რომ ამ დილით მუშაკები წესრიგში არ აღმოჩნდა, ერთ-ერთი კაპიტანი განმირისხდა და ჩემთვის ორმოცდაათი როზგის დარტყმა უბრძანა.
- დონ სეზარ 50? ეს მეტისმეტად ბევრია!
- ლაზარილიო არა, როზგების რიცხვისა სულაც არ მეშინია. ტკივილის შიში არა მაქვს, შერცხვენისა მეშინია.
- დონ სეზარ ამ პატარა ბაღს ნამდვილი გული ჰქონია. ვეცდებით, გადაგარჩინოთ, ბიჭიკო.
- ლაზარილიო არაფერი გამოგივათ... კაპიტანი ისე გაბრაზებულია, სულ ცეცხლსა ჰყრის. მის ლეიტენანტსაც სურდა ჩემი გადარჩენა, მაგრამ ამაოდ ეხვეწა... კაპიტანმა უარი უთხრა.
- დონ სეზარ (დონ ხოზეზე უჩვენებს) იმედი მაქვს, ორ კეთილშობილ სენიორს უარს არ გვეტყვის.
- დონ ხოზე (აჩქარებით) მომიტევეთ მაგრამ.... მე მაქვს გარკვეული მოსაზრება, რის გამოც ამ საქმეში ვერ ჩავერევი.
- დონ სეზარ ასე იყოს. მეც ვეყოფი.
- ლაზარილიო (შეჰყვირებს) ოი, წმინდაო ანტონიო, შენ დამიფარე!
- დონ სეზარ რა დაგემართა?
- ლაზარილიო ის მოდის. აი, კარისკაცებით შემორტყმული რომ მოდის აქეთ. ცხადია, მე დამემებენ.
- დონ სეზარ ნუ გეშინია, დაიმალე ჩემს ზურგს უკან... გული მაგრად გქონეს, შენ გიცავს დონ სეზარ დე ბაზანი და მისი დაშნა...

დონ ხოზე (ჩუმად) მეფის ბრძანებას ნუ დაივიწყებთ!  
 დონ სეზარ აა, ეშმაკის კერძო, შარისთვის მოდიხარ და ისიც შობის კვირაში?

### გამოსვლა მეექვსე

იგინივე, კაპიტანი და ორი ჯარისკაცი

კაპიტანი (უჩვენებს ლაზარილიოზე) აი, სად ყოფილა. წაათრიეთ!  
 დონ სეზარ (მოკრძალებით) მოითმინეთ... ერთი წამით! ბატონო კაპიტანო, ნება მიბოძეთ, ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ ამ პატარა დამნაშავეს დასაცავად.  
 კაპიტანი (არ უსმენს, ჯარისკაცებს მიმართავს) აბა, წამოათრიეთ-მეთქი! დაყრუვდით რომ გელაპარაკებით?! (ჯარისკაცები მიუახლოვდებიან ლაზარილიოს)  
 ლაზარილიო შემიბრალებთ, ბატონო კაპიტანო!  
 დონ სეზარ ხომ გესმით, ეს ბიჭი შებრალებას გემუდარებათ. მეც მორჩილად ვუერთებ ჩემს ხმას მის თხოვნას!  
 კაპიტანი (ლაზარილიოს) წესიერად შეასრულე შენი მოვალეობა და არ დაისჯები. ახლა კი შენს ცრემლებს და (დონ სეზარისკენ გაიხედავს) სულელურ თხოვნას ყურს არ ვათხოვებ.  
 დონ სეზარ რაო? (იქით) ახ, შობის კვირა არ იყოს! (წყნარად) კარგი, ბატონო კაპიტანო! თქვენ მოგბეზრდათ ცრემლებიც, ხვეწნა-მუდარაც... ყველაფერი ეს შეგიძლიათ ერთი სიტყვით მოსპოთ. ამ ბიჭს აპატიეთ, კაპიტანო! (მოსასხამზეხელს მოჰკიდებს)  
 კაპიტანი (ხელიდან გამოგლეჯს მოსასხამს) იქით... ახალი მოსასხამი მაქვს და არა მსურს ლაქები მოეცხოს!  
 დონ სეზარ (მრისხანედ) ბატონო ჩემო! (თავს შეიკავებს) ო, შობის კვირავ, შობის კვირავ!  
 დონ ხოზე ეს კაპიტანი მეტად უხიაგი და ქედმაღალი ჩანს.

- დონ სეზარ (მშვიდად) მოდი, დავამთავროთ ეს საქმე... დარწმუნებული ვარ, წესიერი ადამიანი იქნებით... ჩემს პატიოსნებას თავდებად ვდებ. ხომ ასეა? ვაჟკაცობას გაფიცვით და კიდევ გემუდარებით მიუტევოთ ამ პატარას...
- კაპიტანი ბოლოს და ბოლოს, როდის დაამთავრებს ეს მათხოვარი? მე თქვენთვის არაფრის გაკეთება არ შემიძლია, პატივცემულო.
- დონ სეზარი (აღშფოთებული) არა? კარგი. რაკი ასეა, მე შემიძლია თქვენთვის იმის გაკეთება, რაც საჭიროა, პატივცემულო.
- კაპიტანი თავხედო!
- დონ სეზარ ათი ათასი ეშმაკი გეძგეროს! ეს უკვე მეტისმეტია. მშვიდობით, შობის კვირავ! ბატონო, მე თქვენ ახლავე მოგკლავთ!
- კაპიტანი რაო? ეს ძალიან საინტერესოა. როგორ მოახერხებთ მაგას?
- დონ სეზარ როგორ? აი, ამ დაშნით, რომელიც დიდ პატივს დასდებს თქვენს დაშნას თავის შეხებით. მე მიწოდებენ დონ სეზარ დე ბაზანს! კაცს, რომელსაც უფლება აქვს ქედმოუხრელად იდგეს მეფის წინაშე. თქვენ კი მე ქუდი მოგიხადეთ, გთხოვეთ, გემუდარეთ, მორჩილად... მოწიწებით... მაგრამ თქვენ თავხედი მედიდურობით მიპასუხეთ, მე სიბრალულის გამოწვევას ვცდილობდ, თქვენ კი ისე მომექეცით, როგორც ძაღლს... ყველა წმინდანს ვფიცავ, რომ ჩემს მოთმინებას ბოროტად იყენებთ... თვით მეფის ბრძანებასაც კი არაფრად აგდებთ! (თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერებს) კარგად ჩასუქებული ბრძანდებით, ბატონო კაპიტანო და ვინაიდან ეშმაკებს შობის კვირა არა სწამთ, გადავწყვიტე მთავარ ეშმაკს ახლავე ვახშმად გავუგზავნო თქვენი გოგრა! (დაშნას იმიშვლებს)
- კაპიტანი ორთაბრძოლა გსურს?
- დონ სეზარ დიახ, თუ მხდალი არ აღმოჩნდებით!
- კაპიტანი წავიდეთ!
- ლაზარილიო ღმერთო ჩემო, ჩემი გულისთვის უნდა იბრძოლოთ?

დონ სეზარ ნუ გეშინია. მალე შევხვდებით, პატარავ! შენ სთქვი, რომ ლეიტენანტს პატიება სურდა... დარდი ნუ გექნება. ათი წუთის შემდეგ მას კაპიტნად ვაქცევ. (გადის ლაზარილიოს თანხლებით)

გამოსვლა მეშვიდე

დონ ხოზე, შემდეგ მარიტანა

დონ ხოზე დონ სეზარს კეთილი გული აქვს... მაგრამ მისი მოწინააღმდეგე ბუზად მაინც რომ მიმაჩნდეს, ახლა დიდად შემაწუხებდა მისი ბედი. (იქით) ვინ იცის, იქნებ ის სისულელე, რასაც ახლა ჩაიდენს დონ სეზარი, საჩემოდ გამოვიყენო?!

მარიტანა (შემოდის სიხარულით სახეგაბრწყინებული) მე ვნახე იგი.. დედოფალმა კვლავ გააჩერა თავისი ეტლი, რომ ჩემი სიმღერა მოესმინა. კვლავ ავატირე დედოფალი!

დონ ხოზე (მიუახლოვდება) კვლავ დიდებისა და სიმდიდრის ოცნებამ გაგიტაცათ?

მარიტანა საუბრისთვის ძალიან შეუფერებელი დრო აგირჩევიათ: ხომ ხედავთ, ლოცვა უკვე დამთავრდა და ჩემი მსმენელები ბრუნდებიან. მე კი მათ ვუმკითხავებ. (ხალხი შემოდის მოედანზე) აბა, ვნახოთ, ვისგან დავიწყო?

ხმები ჩემგან... ჩემგან... არა, ჩემგან...

მარიტანა პირველი შენ იქნები, ჩემო მამაცო ჯარისკაცო! (იღებს ახალგაზრდა ჯარისკაცის ხელს) გატყობ, სხვის საკუთრებას ეპოტინები!

ჯარისკაცი (იღიმება) მე? ეს მართალია!

მარიტანა ახალგაზრდა, ლამაზი ქალი გიყვარს

ჯარისკაცი (გაოცდება) მართალია...

მარიტანა და შესაძლოა დღეს მან მოატყუოს მოხუცი ქმარი ახალგაზრდა საყვარლის გასახარებლად.

- ჯარისკაცი           ოჰო, კარგი, კარგი!
- მოხუცი               (მივა მარიტანასთან) ახლა ჩემი ჯერია.
- მარიტანა           (აკვირდება მის ხელს) თქვენ ახალგაზრდა და ლამაზი ცოლი გყავთ.
- მოხუცი               მართალია.
- მარიტანა           ძალიან მორცხვი გგონიათ, მაგრამ ის მალე მოატყუებს მოხუც ქმარს ახალგაზრდა საყვარლის გულისთვის.
- მოხუცი               ოჰო. კარგი, კარგი! (იგი ფულს აძლევს მარიტანას და თავს იმშვიდებს) ეს ყველაფერი სისულელეა (მივა იმ ახალგაზრდა ჯარისკაცთან, რომელსაც მარიტანამ მანამდე უმკითხავა) აბა, წავიდეთ?
- ჯარისკაცი           აჰ, ეს თქვენ ბრძანდებით, ნათლი!
- მოხუცი               წავიდეთ, წავიდეთ, მოუსვენარო. მე და ჩემს ცოლს ვახშამზე დაგვეწვიე. (ერთად გადიან)
- მარიტანა           (ახალგაზრდა ქალს) შენ კი ახალგაზრდა, ლამაზი და მეტად მდიდარი ქმარი შეგხვდება. (ქალი აღტაცებული გადის) ახლა ვის ვუმკითხავო?
- დონ ხოზე           მე.
- მარიტანა           მიბოძეთ ხელი.
- დონ ხოზე           არა, შენ მომეცი ხელი!
- მარიტანა           მე მოგცეთ ხელი?
- დონ ხოზე           მე შემიძლია გიწინასწარმეტყველო მომავალი იმაზე უფრო ზუსტად, ვიდრე შენ სხვებს უწინასწარმეტყველებ. შენ მხოლოდ შემთხვევებს ანდობ ნამკითხავების ასრულებას. მე კი თვითონ ავასრულებ ყველაფერს, რასაც ადგითქვამ.
- მარიტანა           როგორ? თქვენ?
- დონ ხოზე           მე დონ ხოზე სანტარემი ვარ!

- მარიტანა მეფის პირველი მინისტრი!... (რევერანსით თავს დახრის მის წინაშე)
- დონ ხოზე ჩუმად! თუ ჩემს რჩევას შეიშმენ, სულ მალე ყველა იმ ლამაზ ქალზე უფრო მდიდარი იქნები, ვის წინაშეც ახლა მღერი და შურის თვალით შემოგხედავს ყველა ჰერცოგინია, ვისაც დღეს შენ შურით უყურებ.
- მარიტანა და რა არის საჭირო იმისათვის, რომ ეს ყველაფერი ასრულდეს?
- დონ ხოზე სიჩუმე!

### გამოსვლა მერვე

იგივენი, დონ სეზარ, ლაზარლიო, შემდეგ ხალხი და ჯარისკაცები

- დონ სეზარ (მოსასხამზე წმენდს სისხლიან დაშნას) იმ მსუქან კაპიტანს მეტად მჭლე სიცოცხლე აღმოაჩნდა! მაგრამ ახლა მაგის დრო არ არის. უპირველეს ყოვლისა და რაც შეიძლება ჩქარა მოედნისკენ უნდა გავფრინდე ნაცნობი გზებით. მეფის ბრძანება რომ მახსენდება, ბეჭებზე ფრთები ამომდის და მუხლებში შევარდნის სისწრაფე მემატება.
- ლაზარლიო ვაიმე, ალკალდი მოდის აქეთ! უკან მცველთა რაზმი მოჰყვება.
- დონ სეზარი (სცენის სიღრმეში დაიხვეს) ნუთუ უკვე მომდევნ? (რაკი შეხედავს, რომ ჯარისკაცები მას ალყას შემოარტყამენ) დიახ, ჩემს შესაპრობად მოსულან!
- ალკალდი თქვენ დაპატიმრებული ხართ მეფის სახელით!
- დონ ხოზე (იქით) აი, ეს კი მეტად ხელსაყრელია!
- დონ სეზარ ბატონებო, მე თქვენ განკარგულებაში გახლავართ! (იქით) ვფიქრობ, ძალიან გაუფრთხილებლად მოვიქეცი, როცა მადრიდში დავბრუნდი!
- მარიტანა მაშ თქვენ ბრძანებთ, რომ ყველაფერი ეს ასრულდება?
- დონ ხოზე ხვალ!

დონ სეზარ           წავიდეთ, ბატონებო!

მარიტანა           (იქით) მე ხვალ გრაფინია გავხდებო!

დონ სეზარ           (იქით) მე ხვალ ჩამომახრჩობენ!

ფარდა

მოქმედება მეორე

საპყრობილის შიდა მხარე. გვერდით ალყაფები. სიღრმეში დიდი ღია სანგარი, რომელიც სათოფურებიან საციხოვნო ბურჯთან გადის. კოშკზე საათი.

გამოსვლა პირველი

დონ სეზარი და ლაზარილიო

(დონ სეზარს ნახევრად წამოწოლილს სძინავს, ლაზარილიო მის მახლობლად დგას)

ლაზარილიო       (ნაღვლიანად უცქერს დონ სეზარს) ერთი დღე-ღამის განმავლობაში კიდეც დააპატიმრეს, კიდეც გაასამართლეს და სიკვდილით დასჯაც კი გადაუწყვიტეს. (საათი რეკავს) მხოლოდ ორი საათის სიცოცხლეა დარჩა. ამას კი სძინავს. (ხელზე ხელს მოჰკიდებს)

დონ სეზარ       (იღვიძებს) თქვენა ხართ? ვინ მადვიძებს? ა-ა! შენა ხარ, პატარავ? რა წინდაუხედაობაა ასეთი მშვენიერი სიზმრის შეწყვეტა. მესიზმრა, თითქოს ყველა ჩემი მევალე ჩამოახრჩეს...

ლაზარილიო       კარგი სიზმარი იქნებოდა...

დონ სეზარ       ჩინებული... რომელი საათია?

ლაზარილიო       (უსიტყვოდ უჩვენებს კოშკის საათზე)

დონ სეზარ       სულ ეს არის? ჯერ კიდეც მთელი ორი საათი მქონია... ეშმაკმა დალაზეროს! რა უნდა ვაკეთო ამდენ ხანს? ლაზარილიო!

ლაზარილიო       გისმენთ, მონსენიორ.

- დონ სეზარ           შენთვის რომ სიკვდილი მოესაჯათ და ორი საათი დრო დაგრჩენოდა, რაში გამოიყენებდი?
- ლაზარლიო           ცოდვების აღსარებას შევუდგებოდი.
- დონ სეზარ           მერედა, ამისათვის ორი საათი გეყოფოდა? (იქით) თუმცა ეს ჯერ მეტად ახალგაზრდაა. (ხმამალა) მე რომ კიდევ სამოც წელიწადს მეცოცხლა, მაშინაც კი არ ვიცი, მოვასწრებდი ჩემი ცოდვების მონანიებას თუ არა! არა! მე აღსარებას არ დავიწყებ, ამას მეტად დიდი დრო დასჭირდება. მაგრამ რა იქნება, ანდერძი რომ შევადგინო? არა, ეს კი მეტად მცირე დროს მოითხოვს. (დაუდევრად წამოგორდება) ახ, მეტად ხელგაშლითა და მხიარულად ვცხოვრობდი. გესმის, ლაზარლიო, მე ცხოვრების ყოველგვარი სიხარული და სიამე გამოვცადე. ძირამდე გამოვცალე მიწიერ სიტკბოებათა ფიალა... მიყვარდა... ვსვამდი, ვთამაშობდი ბანქოს... მდიდარი ვიყავი და მთელი ქონება შევჭამე; მართალია, ისე უმადოდ, როგორც ქალები მიყვარდა უსიყვარულოდ, მაგრამ ისე სასიამოვნოა მფლანგველობა, რომ ამაშიც სილამაზეს ვხედავდი. ვიყავი მათხოვარი და მთელ დღეებს ვატარებდი ოცნებაში, რომ მსუქანი და ცვრიანი ხორცის ნაჭერი მეშოვა. ამისათვის ბევრჯერ ვოხრავდი, ჩასუქებული მსახური ქალის გვერდით, მაგრამ მაინც კარგია, როცა გრძნობ, რომ კარგი მადა გაქვს ადამიანს... კიდევ რას ვაკეთებდი სიცოცხლეში? ვშიშობ, მეტი არაფერი გამიკეთებია... (ხარხარებს) და ახლა ისინი უცდიან, რომ ასეთი სიცოცხლე დავამთავრო და სახრჩობელას წინ საკუთარ თავს წავუკითხო ასეთი ქადაგება: „დონ სეზარ, მეფის სახელით, თქვენ მიემგზავრებით თქვენს დიდებულ წინაპრებთან“. (ხარხარებს) ახ, სამგზის უსაქმურო, ახია შენზე!
- ლაზარლიო           (მის წინ მუხლებზე დაეცემა) მხოლოდ ჩემი გულისთვის კვდებით! (ტირილით უკოცნის ხელებს)
- დონ სეზარი           ეს რაღა ამბავია! ახლავე შეწყვიტე ტირილი! ნახე, სულ დამასველე!



- ლაზარილიო (განრისხებული) ქვეყანაზე არავინ აღმოჩნდა, არც მეგობარი, არც ნათესავი... ვისაც შეეძლო მეფის წინაშე დაცემულიყო და თქვენი სიცოცხლის შენარჩუნება ეთხოვა!
- დონ სეზარი (მკაცრად) ლაზარილიო! შენ ცილს სწამებ კაცობრიობას! (გრძნობამორევით) არა, ლაზარილიო, აღმოჩნდა, ერთი თმაჭაღარა მოხუცი... იგი გზაზე გადაუდგა მეფეს, ეტლის ბორბლებში ჩაუვარდა, ცხენების ფლოქვებქვეშ მოექცა, ცრემლების ფრქვევით მათ მთრთოლვარე ხელები გაუწოდა და ქვითინით შეევედრა: „შეიწყალეთ, შეიწყალეთ დონ სეზარი!“
- ლაზარილიო (ნაწყვეტ-ნაწყვეტ) ეს იყო ალბათ, მამათქვენი, მოხუცი გრაფი დონ სეზარ დე ბაზანი!
- დონ სეზარ (ცივად) არა, ეს იყო ერთ-ერთი ჩემი მევალეთაგანი... ხედავ, ლაზარილიო, ქვეყნად კიდევ ყოფილან კეთილი ადამიანები... მაგრამ როგორ მოგწონს: ჩემი დიდების დღეებში მთელი ბრწყინვალე დიდკაცობა, ყველა დიდგვაროვანი ჩემი მეგობარი და კეთილისმსურველი იყო, ჯერ კიდევ გუმინ მადრიდის ყველა მათხოვარი და მაწანწალა ჩემს ამაღლაში შედიოდა... დიდებისა თუ გაჭირვების მეგობრები, სასახლეებისა თუ ქუჩის მეგობრები თავის დროზე გარს მეხვივნენ და აი... ხედავ, როგორ ვცვარებივარ ყველას: მათ ისე ეწყინათ აქ ჩემი გამოჩენა, რომ ერთიც კი არ მოსულა სანახავად.
- დონ ხოზე (შემოდის) ჩემ გარდა!
- დონ სეზარ (წამოდგება) დონ ხოზე!
- დონ ხოზეს ნიშანზე ლაზარილიო გადის.

გამოსვლა მეორე

დონ სეზარი და დონ ხოზე

დონ სეზარ ეს თქვენა ხართ? ჩემთან, ციხეში?

- დონ ხოზე ჩემი მოსვლა ასე რად გიკვირთ? მე მუდამ თქვენი მეგობარი ვიყავი, დონ სეზარ! გულწრფელი მეგობარი კი ერთგული უნდა იყოს ადამიანის უკანასკნელ წუთამდე. მომეცით ხელი!
- დონ სეზარ სიამოვნებით! ასეთი მეგობრული აღიარების შემდეგ სიამოვნებით! (იქით) ნეტავ რა უნდა ჩემგან?!
- დონ ხოზე ეს-ეს არის გავიგე თქვენი თავგადასავალის სამწუხარო შედეგი. დროს ტყუილად დავკარგავდით, კეთილი იმედებით რომ მენუგეშებინეთ, ვინაიდან ორი საათის სიცოცხლედა დაგრჩენიათ.
- დონ სეზარ ცდებით - ერთი საათი და სამი მეოთხედი!
- დონ ხოზე (ილიმება) სწორია!
- დონ სეზარ სიცოცხლე ისე ხანმოკლე გახლავთ...
- დონ ხოზე მიუხედავად ამისა, თქვენი დარჩენილი სიცოცხლე მაინც საკმაოდ ხანგრძლივია იმისთვის, რომ მოისმინოთ, რასაც გეტყვით და შეასრულოთ, რასაც გთხოვთ. თუ შევთანხმდებით, რა თქმა უნდა. მაშ ასე, დავსხდეთ და მოვისაუბროთ!
- დონ სეზარ კეთილი, მოვისაუბროთ და რაც შეიძლება დიდხანს, რადგან არ ვიცი, როგორ მოვკლა დარჩენილი დრო.
- დონ ხოზე შესაძლოა მის შევსებაში გამოგადგეთ. (ხმას აუმაღლებს) დონ სეზარ!
- დონ სეზარ დონ ხოზე!
- დონ ხოზე ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ მე სახელმწიფოში უმაღლეს ხელისუფლებას წარმოვადგენ, რომ მე ან ჩვენი ყოვლად მოწყალე მეფის პირველი მინისტრი ვარ, ანდა კეთილი ფერია, თავისი ჯადოსნური ჯოხით.
- დონ სეზარ (ათვალიერ-ჩაათვალიერებს) მე ვირჩევ პირველ მინისტრს, რადგან გულახდილად რომ მოგახსენოთ, თქვენ სულ არ ჰგავხართ კეთილ ფერიას... დიახ, უფრო რაღაცნაირი მინისტრული გამოხედვა გაქვთ.

- დონ ხოზე რა საჭიროა ეს პირმოთნეობა?!... მაგრამ სულ ერთია მინისტრი ვარ თუ ფერია! აქ იმისთვის მოვედი, რომ თქვენი უკანასკნელი სურვილი შევიტყო. თქვენს მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს, ჩვეულებრივ, რამე სურვილი უჩნდებათ, ან იდუმალი გრძნობებით იტანჯებიან, რაც სწამლავს მათ უკანასკნელ წუთებს... მაშ ასე, მომენდეთ, როგორც მეგობარს და პირობას გაძლევთ, ყველაფერს მოგანიჭებთ, რასაც კი მოისურვებთ, რა თქმა უნდა, გარდა სიცოცხლისა.
- დონ სეზარ (საყვედურით) ახ, ნუთუ ისეთ ურცხვ კაცად მთვლით, რომ შემიძლია ასეთი რამ გთხოვოთ?! მე არაფერი მინდა და არც არაფერს ვნანობ!
- დონ ხოზე (იქით) დალახვროს ეშმაკმა!
- დონ სეზარ თუმცა არა! მოითმინეთ... როცა აქ შემოდიოდით, ალბათ შენიშნეთ ყმაწვილი კაცი, თითქმის ბავშვი...
- დონ ხოზე ის, ვისი გულისათვისაც ორთაბრძოლა წამოიწყეთ და ვისი გულისთვისაც უნდა მოკვდეთ.
- დონ სეზარ დიახ, ასე გახლავთ! იმას გეუბნებოდით, რომ არ მინდა, მას კვლავ დასჭირდეს წყენისა და შეურაცხყოფის გადატანა, როცა მე ცოცხალი აღარ ვიქნები და ველარავინ დაიცავს. იღონეთ რაიმე ამ ბავშვის დასაცავად.
- დონ ხოზე სულ ეს არის? დამშვიდებული ბრძანდებოდეთ. ჩემთან წავიყვან, მისი მომავლისთვის ვიზრუნებ.
- დონ სეზარ გმადლობთ.
- დონ ხოზე მაგრამ თქვენ ძალიან ცოტას მთხოვთ.
- დონ სეზარ თქვენ კი ჩემგან უფრო მეტის თხოვნას აპირებთ?
- დონ ხოზე ჯერ თქვენი საქმე მოვათავოთ. იქნებ გაქვთ კიდევ სხვა რამ სურვილი... მოიფიქრეთ.
- დონ სეზარ ვაი, რომ მეტი სურვილი აღარ მაქვს.

- დონ ხოზე (იქით) შეუძლებელია, რომ ასეთი მცირე საფასურით მოვახერხო მისი თანხმობის მიღება. (ხმადაბლა) დონ სეზარ... თქვენს დაუსრულებელ მოგზაურობაში ალბათ მრავალ შესანიშნავ სანახაობას დასწრებიხართ... (შეათვალიერებს მას) ხომ არ გინახავთ სახრობელაზე როგორ ჰკიდებენ ადამიანებს?
- დონ სეზარ (ჩაფიქრებით) დიახ, მინახავს... სამჯერ დავსწრებივარ სიკვდილით დასჯას, სამჯერ მინახავს ჩამოხრჩობილნი და სამჯერვე გულიანად ვიცინე...
- დონ ხოზე ცხადია, ახლა ნანობთ ასეთ არაკეთილგონიერებას...
- დონ სეზარ ღმერთმანი, არ ვნანობ.... მხოლოდ ჩემს გულში ვამბობდი: როცა მეც ასევე ჩამომკიდებენ, ალბათ ამათზე ნაკლებ სასაცილო არ ვიქნები-მეთქი. და თუ ახლა მე ამათზე ვიცინი, ჩემზე სხვები გაიცინებენ-მეთქი. (თანდათან მოთმინებიდან გამოდის) ჩამოხრჩობა! რა საზიზღრობაა! მთელს ესპანეთში ჯერ არცერთი კეთილშობილი იდალგო არ ჩამოუხრჩვიათ! შეიძლება ჩამოახრჩოთ ქურდი, შეიძლება ჩამოახრჩოთ ალკალდი, შეიძლება ჩამოახრჩოთ ჩემი მევალეები, ისინი ამის ღირსნი არიან, მაგრამ გრაფ დე გაროფას უკანასკნელი წარმომადგენელის, დონ სეზარ დე ბაზანის ჩამოხრჩობა - ეს სამარცხვინოზე უფრო სამარცხვინო სიკვდილია! თქვენ მეკითხებით - რა მსურს, დონ ხოზე? მე მსურს ამაყად თავაწეული ვიდგე თორმეტი რჩეული გვარდიელის წინაშე და წარბშეუხრელად ველოდო მუშკეტებიდან ცეცხლის გამოფრქვევას. მსურს თორმეტმა ტყვიამ ჩამიმტვრიოს თავის ქალა და დამიცხრილოს მკერდი. მხოლოდ ასე უნდა მოკვდეს იდალგო!
- დონ ხოზე და მხოლოდ ასე მოკვდებით თქვენ!
- დონ სეზარ (მკვირცხლად) მართლა? მპირდებით?
- დონ ხოზე ვფიცავ ჩემს პატიოსნებას და ჩემს დაშნას!
- დონ სეზარ მე ახლად ვიბადები, ახლად ვიწყებ სუნთქვას. მეფის 12 ჯარისკაცი გამისტუმრებს საიქიოს ისევე დაჟინებითა და ხალისით, როგორც მე თვითონა ვარ მომზადებული იქ

წასასვლელად. დაუძახონ, მინდა შევხვდე მათ, მინდა ხელი ჩამოვართვა, მინდა თითო ჭიქა შევსვა მათთან ერთად.

დონ ხოზე თქვენ - გრაფ გაროფა დონ სეზარს როგორ გეკადრებათ ჯარისკაცებთან ღვინის სმა?!

დონ სეზარ ეჰ! რამდენჯერ დამირღვევია ზრდილობის ეგ წესი! ამას გარდა, სიმართლე რომ ვთქვათ, რას წარმოადგენს ახლა გაროფას წოდება? თუ ამ წუთში ცოტაოდენ მეტი ღირებულება მაქვს იმათზე, ცოტა ხნის შემდეგ მათ ჩემზე მეტი ფასი დაედებათ.

დონ ხოზე ასე იყოს! მე ვუბრძანებ, მოგართვან ჩინებული ვახშამი, რომელიც თქვენს წარსულ კეთილდღეობას გაგახსენებთ... მაშ, სულ ეს გსურთ?

დონ სეზარ სულ ეს არის, მაგრამ ეშმაკმა დალაზვროს! ცნობისმოყვარეობით ვიწვი. შეიძლება, ბოლოს და ბოლოს გავიგო, რა გსურთ ჩემგან? მაშ ასე. მე გითხარით ჩემი პირობები, ახლა თქვენი თქვით და გამაგებინეთ, რას მოითხოვთ ჩემგან იმის სანაცვლოდ, რომ კმაყოფილი მოვკვდე - ჩამოხრჩობის მაგიერ დამხვრიტონ და იმისთვის, რომ ეს ყმაწვილი გაბედნიერდეს?

დონ ხოზე ძალიან ცოტას!

დონ სეზარ მაინც რა არის ეს ცოტა?

დონ ხოზე მხოლოდ და მხოლოდ საჭიროა, რომ თქვენ ცოლი შეირთოთ.

დონ სეზარ რაო? ცოლი შევირთო? რატომ და რის გულისათვის? ან და რომელ ეშმაკზე მიბრძანებთ ჯვრის დაწერას? დონ ხოზე, რისთვის არის ეს საჭირო?

დონ ხოზე ვერ გეტყვით, ეს საიდუმლოა.

დონ სეზარ ძალიან ცოტა დრო დამრჩა იმისათვის, რომ ვიმარჩიელო.

დონ ხოზე მაინც ვერ გიპასუხებთ.

დონ სეზარ (დაფიქრებით) ეს არ იქნება მემკვიდრეობისთვის, რომელიც ჩემ შემდეგ დარჩება, რადგან ვალების და ჩემი სახელის გარდა... (გამოცოცხლებით) ჩემი სახელის? ჰო... რა თქმა უნდა, რა თქმა

უნდა, მე ხომ... აი, თურმე რა ყოფილა ჩემი ფასი! დონ ხოზე, ახლა მივხვდი...

დონ ხოზე

რას მიხვდით?

დონ სეზარ

ეს ისეთი ქალია, რომელსაც სახელი და წოდება არ გააჩნია და სურს, მიიღოს. ეს ქალი იწვის სურვილით, რომ გახდეს გრაფინია. გამოტყდით, ხომ გამოვიცანი?

დონ ხოზე

შესაძლოა.

დონ სეზარ

მაშ, ის მიიღებს ამ სახელს, დაე უფალმა კეთილად მოახმაროს.

დონ ხოზე

(გახარებული) თანახმა ხართ?

დონ სეზარ

თანახმა ვარ! ეგეც არ იყოს, სხვანაირად არც კი ვიცი, დრო როგორ მოვკლა... შევირთავ ცოლს... მე შევირთავ ცოლს საათნახევრით და ძალიან უიღბლოდ ჩავთვლი თავს, თუ ჩვენს ხანმოკლე ცოლ-ქმრულ ცხოვრებაში ოჯახურ უსიამოვნებასაც გამოვცდი.

დონ ხოზე

მაშ ასე, ცოლს მიანიჭებთ თქვენს წოდებას და დე ბაზან გრაფინია დე გაროფას ტიტულს...

დონ სეზარ

თვით გრაფ დე გაროფასაც ზედ დავუმატებ, თუ ის ჩემი ძვლების მოხვეტას ისურვებს. ჰო, მართლა, რა ბრძანეთ, ვინ არის?

დონ ხოზე

არაფერი მითქვამს.

დონ სეზარ

ის მაინც გამაგებინეთ, ახალგაზრდაა, ლამაზია?

დონ ხოზე

საერთოდ არ ვიცნობ.

დონ სეზარ

სამაგიეროდ, მე ვიცნობ: ეს ალბათ ვინმე ბებერი ჯოჯოა! დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ცოლი 55 წლისაა!

დონ ხოზე

რომელ საათზე ნიშნავთ ჯვრისწერას?

დონ სეზარ

არა, არა... ვარღვევ ჩვენს შეთანხმებას.

დონ ხოზე

ასე ნუ ხუმრობთ.

- დონ სეზარ            მოითმინეთ (ჩაფიქრდება) სალამოს შვიდ საათზე დამხვრეტენ... მაშასადამე, ეს მოხდება დადამებამდე... ისე, რომ საფრთხე არ მემუქრება. კარგი ასე იყოს. თვალებს დავხუჭავ და ჯვარს დავიწერ გადაღრძუებულ დედაბერზე.
- დონ ხოზე            შეგიძლიათ თვალეები არ დახუჭოთ. სქელი პირბადე დაჰფარავს გრაფინია დე ბაზანის სახეს.
- დონ სეზარ            (თავს დაუკრავს) უღრმეს მადლობას მოგახსენებთ ასეთი წინდახედულებისათვის!
- დონ ხოზე            (თავის დაკვრითვე უპასუხებს) მხოლოდ მას კი შეუძლია მიჩვილოს, რადგან პირბადეში ვერ შესძლებს კავალერის მშვენიერი სახის ნაკვთების დანახვას.
- დონ სეზარ            (თანაგრძნობით) საბრალო დედაბერი! მაგრამ წაგებული მაინც არ აღმოჩნდება, რადგან თუ ჩემი სახის მოხდენილ ნაკვთებს ვერ შეხედავს, სამაგიეროდ ჩემს ტანსაცმელსაც ვერ დაინახავს!
- დონ ხოზე            (გაიღიმებს) რომელიც თითქმის აღარ არსებობს.
- დონ სეზარ            (ფილოსოფიის კილოთი) არც გაემტყუნება, იმდენი იმოგზაურა...
- დონ ხოზე            ...რომ დროა დაისვენოს. (ემახის) ანტონიო! (დონ სეზარს აჩვენებს) შებრძანდით იქ, ჩემო ძვირფასო დონ სეზარ... იქ დაგხვდებით ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ საკადრისად გამოწყობილი წარსდგეთ საპატარძლოს წინაშე.
- დონ სეზარ            მართლა? ჩინებულია! ნებას გაძლევთ, შემმოსონ. დაე, მაკურონ ნელსაცხებელი, დაე ვარდების გვირგვინი დამადგან, დაე ჯვარი დამწერონ და.... დამხვრიტონ! გეფიცებით, ჩემი უკანასკნელი დღე შესანიშნავი გამოდგა.

(გადის)

გამოსვლა მესამე

დონ ხოზე და ანტონიო

- დონ ხოზე (დონ სეზარს თვალს გააყოლებს) აუცილებელია, რომ ქვეყნად ამისი მსგავსი ადამიანები ცხოვრობდნენ. ერთი შეხედვით, გგონია აღარაფრისთვის ვარგაო, თუცმე კიდევ შესაძლებელია, რაღაცაში გამოიყენო. მაგალითად, შერთო ცოლი! (კვლავ იძახის) ანტონიო!
- ანტონიო (შემოდის) მონსენიორ!
- დონ ხოზე აქ კარგი ვახშამი გააწყონ!
- ანტონიო მესმის, მონსენიორ. (წასვლას აპირებს)
- დონ ხოზე ჰო, მართლა, დამიძახე ლაზარილიოს, აი, იმ ყმაწვილს, აქ ციხეში რომ ცხოვრობს, გაინძერი ჩქარა, (ანტონიო გადის) (დონ ხოზე გახარებულია) მაშ ასე... ყველაფერი ჩინებულად მიდის, მშვენიერო მარიტანა, ჩემი წინასწარმეტყველება ახდა. შენი მბრძანებლის - ესპანეთის მეფისა და შენ შორის, საბრალო, ლატაკ, ქუჩის მომღერალ გოგონას შორის დაბრკოლება აღარ არსებობს, გარდა სიკვდილმისჯილი იდალგოსი. მალე მოგმარავთ ასე - დონნა სეზარ! საჭირო გახდა დედოფლის სახელით აქ შენი შემოტყუება. ყველაფერზე ახსნა-განმარტებას მოითხოვდი: იკითხავდი თუ რა საჭიროა ასეთი საიდუმლოება? რა საჭიროა ეს პირბადე? რა გინდა ციხეში, რად გინდა ქმარი, რომელიც ჯვრისწერისთანავე უნდა გაქრეს და რომელსაც ვერ ნახავ, სანამ ნანატრი დრო არ დადგება. ბოლოს და ბოლოს, დედოფლის სახელმა ყველა ეჭვი გაგიფანტა და დათანხმდი გრაფინია გამხდარიყავი... დიდ მადლობას მოგახსენებ, მშვენიერო! ვნებათაღელვით დაბრმავებულ მეფეს აზრადაც კი არ მოსდის, თუ რა საშუალებები ავამოქმედე და რა მიზანს მივდეგ. მისთვის განკუთვნილ როლს კი მხოლოდ მაშინ შეიტყობს, როცა გრაფინია დე ბაზანი სასახლეში გამოჩნდება... მისი უდიდებულესობა თავდაპირველად ალბათ აღშფოთდება, მაგრამ სიყვარული მალე ჩაახშობს სინდისის ხმას... დედოფალიც დროზე იქნება გაფრთხლებული ქმრის ღალატის თაობაზე და მერე... ო, გაიფურჩქნე, ჩემო ტკბილო იმედო!

გამოსვლა მეოთხე



დონ ხოზე და ლაზარილიო

- ლაზარილიო      თქვენ მიხმეთ, სინიორ?
- დონ ხოზე        დიახ. მომიახლოვდი, ჩემო ბიჭიკო. ვინ არიან შენი მშობლები?
- ლაზარილიო      მე მშობლები არა მყავს, მონსენიორ.
- დონ ხოზე        მეგობრები ხომ გყავს?
- ლაზარილიო      მხოლოდ ერთი, რომელიც გუშინ ჩემი ბედით დაინტერესდა და ამისთვის დღეს მოკვდება.
- დონ ხოზე        დონ სეზარს გულისხმობ, ხომ ასეა? მას მართლაც ძალიან უყვარხარ და მისი თხოვნით მსურს ვიზრუნო შენს მომავალზე.
- ლაზარილიო      რას ინებებს თქვენი ბრწყინვალეობა?
- დონ ხოზე        ამ წუთიდან ჩემთან მიმყავხარ.
- ლაზარილიო      ამ წუთიდან? მომიტევეთ, მონსენიორ, მაგრამ საათნახევრის შემდეგ დონ სეზარს სიკვდილით დასჯიან, ის ჩემი გულისათვის კვდება და მინდოდა, უკანასკნელს ჩამომერთმია მისთვის ხელი და პირველს მელოცნა მისი სულისათვის.
- დონ ხოზე        (იქით) კეთილშობილი გულის პატრონი ყოფილა. ასეთი სანდო მსახური ნამდვილად მჭირდება. (ხმამაღლა) კარგი, ლაზარილიო. მხოლოდ ხვალიდან კი შეუდგები შენი მოვალეობის შესრულებას.
- ლაზარილიო      და ხვალიდან, მონსენიორ, ისეთივე ერთგული ვიქნები, როგორც თვით დონ სეზარის ერთგული გახლდით.
- დონ ხოზე        ამის იმედი მაქვს. წადი, მოუხმე საგუშაგო რაზმის ჯარისკაცებს, რომელთა ვახშამზე მოწვევა ითხოვა შენმა მეგობარმა დონ სეზარმა.
- ლაზარილიო      (თავს უკრავს და გადის)
- დონ ხოზე        (მარტო. ჯიბიდან ამოიღებს გრაგნილს) ახლა კი შევუდგეთ ჩვენი სახელმწიფოებრივი მოვალეობის აღსრულებას! (ჯდება და კითხულობს) „ჩვენ, კარლოს მეორე, სრულ პატიებას ვანიჭებთ

დონ სეზარ დე ბაზანს გრაფ დე გაროფას მისი ყოველი დანაშაულის გამო...“ აქ მხოლოდ მეფის ხელისმოწერადა აკლია... (დაკეცავს გრაგნილს) ჩინებული კომედიია... დიახ.. ხომ საჭიროა, რომ ხალხმა ზოგჯერ მაინც დალოცოს ეს უბედური კარლოს მეორე?! მეფე არ უყვართ, პატივს არ სცემენ, მისი არ ეშინიათ. ამიტომ დროგამოშვებით აუცილებელია დიდი მოწყალების აქტი, რათა ესპანელ ხალხს გავახსენოთ, რომ მას ჰყავს მეფე, რომელიც სრულებით მიივიწყეს... როგორც კი ვისმეს სიკვდილს მიუსჯიან, მეფის კეთილი გული, ჩვენის რჩევით, უმაღვე აჩუყდება ხოლმე და თვალებზე სიხარულის ცრემლებმომდგარი ჩვენივე რჩევით ხელს აწერს დამნაშავის შეწყნარების აქტს. მაგრამ ბედის ცვალებადობის წყალობით, რასაც ჩვენ აგრეთვე წინასწარ ვითვალისწინებთ, შეწყნარებას მხოლოდ დამნაშავის სიკვდილით დასჯიდან ერთი საათის გასვლის შემდეგ იღებენ ხოლმე! აი, რაში მდგომარეობს უბედურება... დონ სეზარის სიკვდილით დასჯა 7 საათზეა დანიშნული. დონ სეზარის შეწყნარება კი მიღებული იქნება სრულ 8 საათზე. დონ სეზარი მოკვდება, მაგრამ მის უდიდებულესობას, ჩვენს უქრისტიანეს მონარქს, მაინც ყველა დალოცავს.

ლაზარლიო (შემოდის) სუფრა უკვე გაშლილია, მონსენიორ.

(მიდის სცენის სიღრმეში და ხელებით ანიშნებს მსახურთ, რომელთაც შემოაქვთ მდიდრულად გაწყობილი გაწყობილი მაგიდა.)

გამოსვლა მეხუთე

იგივენი და დონ სეზარი

დონ სეზარ (საუცხოოდ მორთული გამოდის ფარშევანგივით) როგორ მოგწონთ, დონ ხოზე? მოხდენილად ვატარებ ხავერდსა და ოქროულს?

დონ ხოზე არც მეტი არც ნაკლები, პირდაპირ მეფურად ატარებთ! (უჩვენებს) ეს მშვენიერი ვახშამი და ესეც სტუმრები. (შემოდინან ჯარისკაცები)

დონ სეზარ           თქვენ მგონი, ნამდვილად კეთილი ფერია აღმოჩნდით. თქვენი ჯადოსნური ჯოხი სასწაულებს ახდენს, აჩენს ღვინოსა და ოქროს. თქვენ წარსული აღმიდგინეთ. მხოლოდ მშვენივლით აღსავსე ქალებიღა გვაკლია. ჰო, მართლა, ქორწილი როდისღა?

დონ ხოზე           საპატარძლოს მე თვითონ წარმოგიდგენთ. ამ წუთშივე გავემგზავრები მის მოსაყვანად. (ხელს ართმევს და გადის)

### გამოსვლა მეექვსე

#### დონ სეზარი და ჯარისკაცები

დონ სეზარ           მაგიდასთან, მეგობრებო! (ჯარისკაცები მწყობრად ერთ ნაბიჯს წინ წამოსდგამენ და გაუბედავად შეჩერდებიან) მაგიდასთან! ბრძოლის ველზე ფიქრის დრო არ არის!

ჯარისკაცები       - მაგიდასთან!

- აბა ამას რაღა ფიქრი უნდა?

- მაგიდასთანაო - ბრძანებენ, მაშასადამე მაგიდასთან უნდა მოვთავსდეთ.

- ეჩელებს ღვინო მოურთმევია. (ჯარისკაცები სხდებიან. დონ სეზარი ყველას ღვინოს უსხამს და თან ტკბება სავსე ჭიქების ყურებით)

დონ სეზარ           (ჭიქას ხელში აიღებს, სიყვარულით გახედავს) ო, ჩემო ძველო მეგობარო. დიდი ხანია, შენი ალერსით არ დავმტკბარვარ... დიდი ხანია არ მიგემიხარ! (ჯარისკაცებს) პატივი მეცით, ჩემო მამაცებო! (ჭიქას აიღებს) ეს გრაფინია დე ბაზანის სადღეგრძელო იყოს!

ჯარისკაცები       გრაფინია დე ბაზანის სადღეგრძელო იყოს!

დონ სეზარ           (კვლავ უსხამს ღვინოს) ეს მის ბედნიერ დაქვრივებას გაუმარჯოს!

ჯარისკაცები       მის ბედნიერ დაქვრივებას გაუმარჯოს!

დონ სეზარ

დალიეთ, მეგობრებო, დალიეთ!... ძირამდე გამოსცალეთ და ჩემთან ერთად გაიმეორეთ ჩემი მაწანწალა მეგობრის - მოტოლობუსის სიმღერა (მღერის)

ასეთი არის ღვინის ბუნება,

მას მოაქვს სიტკბო და თან ცდუნება,

სულ გვივსებს იგი და გვიცლის ჯიბეს,

ავდივართ ასე ბედისა კიბეს.

თვით სიყვარულიც ხანმოკლე არი:

ვინ ნახა ქვეყნად ცხოვრება მყარი?

ბუნებამ, სიცოცხლე ცდუნებით სავსე

სიხარულისთვის მოგვცა ჩვენ ასე.

რომ სანამ გვიდულს სისხლი ღვარული,

ვიგებოთ ღვინო და სიყვარული.

მისამღერი:

თუ სახრჩობელის გამხდიან ღირსად,

დე გაუმარჯოს აკრძალულ ხილსა!

(ჯარისკაცები იმეორებენ სიმღერას. შემდეგ დონ სეზარი განაგრძობს)

დონ სეზარ

რომ შეიყვარო მახლობლის ცოლი,

სხვის ხარჯზე სმაში არ გყავდეს ტოლი,

რომ ბანქოდანაც წაგებით ადგე,

ისე, რომ ფეხზე ველარც კი დადგე.

რომ სიტკბოება იგემო სრული,

მაცდურს და ეშმაკს მიჰყიდო სული,

მაშინ ხსნას დასთმობ - სამოთხის მსგავსსა

და ჯოჯოხეთში ამოყოფ თავსა!

მისამღერი           თუ სახრჩობელის გამხდიან ღირსად,  
 დე გაუმარჯოს აკრძალულ ხილსა.

ჯარისკაცი1       სინიორ, ჩემო სინიორ, მოსამართლენი!

დონ სეზარ       (თავს დახრის) დე, შემობრძანდეს მეფის მართლმსაჯულება!

### გამოსვლა მეშვიდე

#### იგივენი და მოსამართლენი

(მოსამართლენი საზეიმო სიდინჯით შემოდიან და სცენის სიღრმეში გაჩერდებიან. ერთი მათგანი მაგიდას მიუახლოვდება, მას ხელში გრაგნილი პერგამენტი უჭირავს. მათი გამოჩენისას ყველანი ფეხზე დგებიან.)

მოსამართლე       დონ სეზარ დე ბაზან! (დონ სეზარი თავს უკრავს. ამასვე იმეორებენ ჯარისკაცები. მოსამართლე ნელა კითხულობს განაჩენს). მისი უდიდებულესობის, ესპანეთისა და ორივე ინდოეთის უქრისტიანესი მეფის, კარლოს მეორის სახელით, დონ სეზარ დე ბაზანს - გრაფ დე გაროფას, სიკვდილმისჯილს ჩამოხრჩობის წესითა, უმოწყალესად შეეცვალოს ჩამოხრჩობა დახვრეტით! (დონ სეზარი თავს ასწევს და სამაჯურებს გაისწორებს) 12 მუშკეტი დატენილი უფალ მოსამართლეთა თანდასწრებით, ეკურთხება თანახმად ჩვეულებისა და განაჩენის სისრულეში მოყვანამდე ჩაბარდება საგუშაგო მესაჭურვლეს, ან ერთ-ერთ მის თანაშემწეთაგანს. დონ სეზარს გაიყვანენ საპყრობილის მთავარ ეზოში, სადაც იგი მუხლმოყრილი მიებარება ღმერთსა, რის შემდეგ აღსრულდება მართლმსაჯულება. ღამით მის გვამს აიღებენ და გადასცემენ წმინდა ბენიტოს ორდენის ბერებს, რომელნიც მას უკანასკნელ პატივს მიაგებენ. (მოსამართლენი ისევე საზეიმო სიდინჯით გადიან, როგორც შემოვიდნენ. განცვიფრებული ჯარისკაცები გაქვავებულნი დგანან ერთ ადგილას.)

დონ სეზარ (მხიარულად, თითქოს არაფერი მომხდარიყოს) ვიმღეროთ მესამე კუპლეტიც. (მღერის)

როდის ბრძოლის ჭრიალი ისმის,  
 ღვინო ჭიქებში ნაპერწკლებს ისვრის,  
 და სერენადის ხმები დნებიან,  
 თან ლამაზებიც გელოდებიან,  
 მაშინ კვლავ სიყრმე გულმა იწადოს,  
 დაე სიკვდილმა ჯერ დაიცადოს!

მისამღერი თუ სახრჩობელის გამხდიან ღირსად,  
 დე გაუმარჯოს აკრძალულ ხილსა!

(გაისმის ორღანის ხმა)

დონ სეზარ (წამოდგება) ჩემი ცოლი... (ჯარისკაცებს) გრაფინია მობრძანდება?  
 (ჯარისკაცები სუფრიდან აიშლებიან და სცენის სიღრმეში გადადიან)

გამოსვლა მერვე

დონ სეზარ, დონ ხოზე, მარიტანა, რომელსაც სახეზე სქელი პირბადე აქვს  
 ჩამოფარებული, დონ ხოზეს შემოჰყავს მკლავგაყრილი, მოწმენი,  
 ჯარისკაცები, ანტონიო

დონ ხოზე (დონ სეზარს, ხმადაბლა) არც ერთი სიტყვა, არც ერთი შეხედვა!

დონ სეზარ არც შეხედვა! ასე შეხვედრა რას მიშველიდა? (უჩვენებს პირბადეზე) ეს ცხვირსაფარი კი არა, პირდაპირ ციხის საფარია!

დონ ხოზე (ხმამაღლა) დონ სეზარ! მიეცით ხელი, სინიორა!

დონ სეზარ (იქით) ხელი კი არა, ალბათ რაღაც ხაოიანი და გაბანჯგვლული მაიმუნის თათი აქვს. (მიუახლოვდება და ცდილობს პირბადის ქვეშ დაინახოს მარიტანას სახე) ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასე საგულდაგულოდ შეფუთული ქალი! წავიდეთ. (გვერდიდან

საათს გახედავს) ათ წუთზე ნაკლები დამრჩა! (ხელს აძლევს მარიტანას) წავიდეთ, სინიორა! (წყნარად წასჩურჩულებს) ამ წუთიდან მთელი ჩემი სიცოცხლე თქვენ გეკუთვნით, სინიორა. (მიჰყავს მარიტანა, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში თავდალუნულია. თან მიჰყვებიან მოწმენი და ჯარისკაცები)

დონ ხოზე

(გასვლისას ანტონიოს მიმართავს) ახლა კი სთხოვეთ აქ მარკიზ მონტეფიორს და მის მეუღლეს. (გადის. მცირე ხნის შემდეგ შემოჰყავს მარკიზი და მარკიზა).

### გამოსვლა მეცხრე

(მარკიზი და მარკიზა შემოდიან და ირგვლივ ყველაფერს ათვალიერებენ)

მარკიზი

სადა ვართ?

მარკიზა

ეს რა არის? საპყრობილეა?

მარკიზი

არა, ალბათ მონასტერია.

მარკიზა

ქეიფის ნამუსრევი! არა, ეს საპყრობილე არ არის!

მარკიზი

(აიღებს ბოთლს, რომელშიაც ღვინო ჩარჩენილა. სუნავს) არა, მონასტერი არ არის.

მარკიზა

საწყალი პატიმრები ასე არ სადილობენ.

მარკიზი

საწყალი ბერები კი ამაზე უკეთეს ღვინოსა სვამენ.

მარკიზა

მაშ, სადა ვართ?

მარკიზი

ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს, მონასტერია თუ საპყრობილე? დონ ხოზე დე სანტარემმა ბრძანა - ჩასხედით ეტლში, გაჰყევით სადაც წაგიყვანს და იქ დამიცადეთ, სადაც მიგიყვანთო. ჩვენ მას ბრმად დავემორჩილეთ და ასევე ბრმად დავუცადოთ, დავსხდეთ.

მარკიზა

(სამეფო კილოთი) ეს ყველაფერი ძალიან კარგია. მაგრამ ფრთხილად, მარკიზ, დონ ხოზესადმი თქვენი ერთგულება იქამდე მიდის...

- მარკიზი                   სადამდე?
- მარკიზა                   იქამდე, რომ უკვე ადამიანი აღარ ხართ, დონ ხოზეს კუთვნილებად გადაიქცეით. მისი ნივთი ხართ, აი, რაღაც ისეთი თოჯინა, ჯამბაზის მსგავსი, რომელსაც ის თოკის გაწევ-გამოწევით ათამაშებს, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ. თქვენი ხელები, ფეხები და თვით თქვენი სინდისიც კი მოძრაობს ისე, როგორც ის მოისურვებს.
- მარკიზი                   სინიორა, ნუ შეურაცხყოფთ მაღლიერების წმინდა გრძნობას! რასაც ახლა ჩვენ წარმოვადგენთ, სულ დონ ხოზე სანტარემის წყალობის შედეგია. მე მდიდარი, მაგრამ მიყრუებული პროვინციის უბრალო იდალგო, სასახლის კარზე მოხვედრას ვოცნებობდი, რომ შენი თავი მეჩვენებინა იქ, გაზელლა, მაგრამ რას წარმოვიდგენდი? არც მეტი და არც ნაკლები, მე ვიყავი დონ გარსია ხაკეც დე ბალზამო დელლა როტუნგო... დონ ხოზემ კი მარკიზ დე მონტეფიორის წოდება მიბოძა და მეფის მტრელების მმართველად დამნიშნა. ეს მემკვიდრეობითი თანამდებობაა, რომელიც ჩემს შთამომავლობაზე გადავა. აბა, წარმოიდგინე, ჩემი შვილიშვილის შვილი იქნება მათი უდიდებულესობის მტრელების ბარტყის ბარტყისბარტყის მმართველი.
- მარკიზა                   მტრელების ბარტყს ხუნდი ჰქვია!
- მარკიზი                   ხუნდი, ჰო! დიახ, მტრედის ხუნდისხუნდის ხუნდის ხუნდის მმართველი, ხედავ? დიახ, ამდენი წყალობით დავალებულმა შევფიცე, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვიყო ერთგული დონ ხოზე დე სანტარემისა, უსიტყვოდ შევასრულო მისი ყველა განკარგულება, რაგინდ უცნაური და უაზრო იყოს, არ შევეცადო მათი შინაარსის გაგებას. ხედავ? არასოდეს არ ვცდილობ, გავიგო რასაც ვაკეთებ.
- მარკიზა                   მაგრამ თუ საქმე თქვენს ან ჩემს პატიოსნებას ეხება?
- მარკიზი                   ღმერთმა დამიფაროს! ჩემი გაზელლას პატიოსნებას? მას თუ რამე საფრთხე ემუქრება, მაშინ... რაო? მართლა საფრთხე მოგელის? ვინმე თავქარიანმა ახალგაზრდებმა შენი აივნის ქვეშ სერენადების სიმღერა ხომ არ დაიწყეს?



- მარკიზა (ამაყად) სინიორ! ვინ გაბედავს... ჩემი ჭაღარის შემხედვარე!
- მარკიზი ო, შენ ისევ ისე მშვენიერი და ახალგაზრდა ხარ, გაზელლა, წლებმა ვერავითარი კვალი ვერ დაამჩნიეს შენს ლამაზ შუბლს. და ამას ლაპარაკობს არა მარტო ჩემი სიყვარული შენდამი, რომელიც ისევე ახალი და ახალგაზრდაა, როგორც პირველ დღეს, ამას იმეორებენ ჩემი მეგობრები, როცა შენს სადღეგრძელოს სვამენ, ჩემო კეთილო მტრედო!
- მარკიზა ჩუმად. აქეთ მოდიან. შეიძლება ბოლოს ჩვენც გავიგოთ რამე.
- მარკიზი იმედი მაქვს.

### გამოსვლა მეათე

#### იგივენი, დონ ხოზე და მარიტანა

- დონ ხოზე (შემოჰყავს მარიტანა) სინიორ მარკიზ დე მონტეფიორ! (მარკიზი მდაბლად უკრავს თავს) წაიყვანეთ თქვენს ციხედარბაზ სან ფერნანდოში თქვენი დისწული სინიორა გრაფინია დე ბაზანი!
- მარკიზი (გაოცებულია. იქით) რაო? ეს რაღაა?
- მარკიზა (ასევე) რას ნიშნავს ეს?
- დონ ხოზე ...რომელიც თქვენ ხუთი წლის განმავლობაში არ გინახავთ.
- მარკიზი (მთლად განცვიფრებული) მაგრამ... მე მგონია... ხუთ წელზე ბევრად უფრო მეტიც.
- მარკიზა (ფრთხილად) ახალგაზრდა ქვრივი ბრძანდება?
- დონ ხოზე არა. მისი ქმარი, გრაფი...
- მარიტანა ყურადღებით უსმენს ყველას. დონ ხოზეს შეაწყვეტინებს მუშკეტების ზალპი.
- მარიტანა (თავზარდაცემული შეჰკვივლებს) ო, რა არის ეს? რა მოხდა? მიპასუხეთ.

- დონ ხოზე დამშვიდდით გრაფინია, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ალბათ დახვრიტეს, რომელიმე ჯარისკაცი.
- მარიტანა (იქით) ო, ღმერთო ჩემო, როგორ მეშინია!
- დონ ხოზე (იქით) აღსრულდა! ახლა უკვე დაქვრივდა. (გაჰყავს მარიტანა, მარკიზისა და მარკიზას თანხლებით. ღამდება)

გამოსვლა მეთერთმეტე

დონ სეზარ, ლაზარილიო

(ალაყავი ფრთხილად გაიღება და იქიდან თავს და ნახევარ ტანს გამოჰყოფს ლაზარილიო)

- ლაზარილიო არავინ არის. (აკვირდება სიღრმეში) ფხიზლად იყავით, იქ გუშაგია. (სწრაფად შემოსულ დონ სეზარს) გაიქეცით, ჩქარა. აი, ეს გასაღები გვირაბში შემოსასვლელ კარს აღებს. გაიქეცით! (აძლევს გასაღებს)
- დონ სეზარ (მთვრალივით ბარბაცებს და თვალებს იფშვნეტს) მაშ, ეს სიზმარი არ არის? ცოცხალი ვარ? მაშ მომეჩვენა, რომ ტყვიებმა ჩემს ყურებთან გაიზუზუნეს?
- ლაზარილიო სწორედაც რომ - მოგეჩვენათ. აი, ყველა ტყვია. (გადასცემს)
- დონ სეზარ რანაირად?
- ლაზარილიო მუშკეტების მეთვალყურეობა მე მომანდეს. ეს მე მოგაძახეთ - წაიქეცით და არ გაინძრეთ-მეთქი.
- დონ სეზარ (ითვლის) 12 ტყვია. ყველა აქ არის. (ჯიბეში ჩაიწყოფს) ცხადია, უფრო სასიამოვნოა მათი ჯიბით ტარება, ვიდრე გულით.
- ლაზარილიო (ხელით ექაჩება კარისკენ) გაიქეცით. დასტოვეთ მადრიდი.
- დონ სეზარ (გადახტება ბურჯზე) მშვიდობით! (ვიდრე მთლიანად მოეფარებოდეს, თითქოს რაღაც მოიფიქრა) მოიცა. თუ ახლა უკვე მკვდარი ვარ, მაშასადამე, მევალებიც აღარა მყავს. (ისმის გუშაგების ყვირილი)

ლაზარლიო ფრთხილად, გუშაგები მოდიან. ფხიზლად! (ერთმანეთს კოცნიან)  
 დონ სეზარ (გასვლისას) ეშმაკმა დალახვროს, მევალები თუ აღარ მყვანან, სამაგიეროდ ცოლი შევირთე!

გადის

ფარდა

### მოქმედება მესამე

მარკიზ დე მონტეფიორის ციხედარბაზი. ბალის შუაგულში პავილიონი = ფანჩატური.

### გამოსვლა პირველი

დღესასწაული მარკიზის ციხე-დარბაზში. მოცეკვავე ქალები ცეკვავენ გრაფინია დე ბაზანის წინაშე, რომელიც მამაკაცების ჯგუფში ახალგაზრდებით გარშემორტყმული ზის. დონ ხოზე დგას მოშორებით. იგი თვალს არ აშორებს მარიტანას. მარკიზი და მარკიზა სტუმრების მილოცვას იღებენ. კავალრები და დამები დასეირნობენ ბალის ხეივანებში. მთელ სურათს თან სდევს შორეული, ნელი მელოდია.

სინიორი1 (მარიტანას მხლებელთაგან) რა საუცხოო დღესასწაულია, სინიორა! ეს სევილიელი მოცეკვავე ქალი რა ლამაზად და გრაციოზულად ცეკვავს! ხომ მართალია, დონ ალკაზარ?

სინიორი 2 არ ვიცი, დონ დიეგო. განა შეიძლება ვუყურო ვინმეს, როცა გრაფინიას მახლობლად ყოფნის ბედნიერება მაქვს?

მარიტანა (გამოერკვევა ფიქრიდან) მომიტევეთ, რამე სთქვით, სინიორ?

სინიორი1 (დონა გიზელას ჯგუფთან) პატიოსნებას გეფიცებით, მარკიზ, რომ დონა გიზელა ისევ ისეთივე ახალგაზრდაა!

სინიორი2 და მასთან მშვენიერიც!

მარკიზა (თავს უკრავს) ო, სინიორებო!

- მარკიზი (იქით, აღფრთოვანებული) მთელი ქვეყანა დარწმუნებულია ამაში. (ხმამაღლა) რომ იცოდეთ, როგორ მსიამოვნებს ამის მოსმენა... ძვირფასო მეგობრებო, გთხოვთ, ხვალ სადილად მეწვიოთ, მინდა კიდევ ერთხელ გაგიმასპინძლდეთ ალიკანტეს ძველი ღვინით.
- დონ ხოზე (მარიტანას აკვირდება და თავისთვის ჩაილაპარაკებს) ოცნებებშია გართული... სულ ჩაფიქრებული და ნაღვლიანი ზის. ეს კარგია!
- მარკიზი (მივა დონ ხოზესთან) ასეთი ყურადღებით ვის უცქერთ, მონსენიორ?
- დონ ხოზე ვტკბები ჩემი ქმნილებით... უფრო სწორად, თქვენი ქმნილებით, მარკიზ. ჩინებულად დამეხმარეთ. ეს უბრალო გოგონა რა სწრაფად გარდაიქმნა მშვენიერ, კეთილშობილ ქალად. როგორ მალე შეიმშვენა მარიტანამ გრაფინია დე ბაზანის მდგომარეობა! უცნაურია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ უბრალო ბედის თამაშმა გადაისროლა ის მადრიდის ჯურღმულებში და ჩვენ მხოლოდ დავუბრუნეთ მას ნამდვილი მდგომარეობა.
- მარკიზი მე დარწმუნებული ვარ ყველაფერში, რაშიც კი თქვენ ბრძანდებით დარწმუნებული.
- დონ ხოზე ძვირფასო მარკიზ, როგორ გრძნობენ თავს მისი უდიდებულესობის მტრედები?
- მარკიზი დიდად კმაყოფილი ვარ, ძალიან სწრაფად მრავლდებიან.
- დონ ხოზე თქვენი ზრუნვის შედეგად, რა თქმა უნდა.
- მარკიზი მდაბლად თავს უკრავს.
- დონ ხოზე (საიდუმლოდ) ოთახის ფინიების მთავარი მმართველი მოხუცდა... ჩვენ მოვილაპარაკებთ მისი შეცვლის თაობაზე.
- მარკიზი აჰ, მონსენიორ, ასეთ მაღალ თანამდებობას მანდობთ!
- დონ ხოზე თქვენ ის სავსებით დაიმსახურეთ! (უჩვენებს მარკიზასკენ, ჩუმად) მაგრამ ფრთხილად იყავით. ის ორი გიჟმაჟი ყმაწვილი

განუწყვეტლივ გვერდით უდგას დონნა გაზელას. აჰ, იგი წინანდებურად ახალგაზრდაა და მშვენიერი. (მოსცილდება)

მარკიზი (გახარებული) ესეც იმავე აზრისაა!

დონ ხოზე (მარიტანასთან მივა) რას ჩაფიქრებულხართ, გრაფინია. ამ ფუსფუსსა და ხმაურში მოგიწყენიათ? ნუთუ არ გახარებთ ეს გასართობები, რაც თქვენთვის მარკიზმა მოაწყო? განა ამ ბრწყინვალე დღესასწაულს აკლია რაიმე?

მარიტანა (ხმადაბლა, სევდიანად) არა, მონსენიორ... აქ ყველაფერია. აკლია მხოლოდ ის, ვისზედაც მე ვოცნებობ... (ამ ლაპარაკის დროს მიუახლოვდება მსახური..)

მსახური (იგი ხმადაბლა და მნიშვნელოვნად ეუბნება) მონსენიორ... იქ... თქვენ... გიცდიან...

დონ ხოზე (მარკიზს ჩუმად) ყველა გაიყვანეთ აქედან.

მარკიზი (უმალვე ხმადაბლა) ბატონებო, ვერსალის სასახლის სტილზე მომზადებული მსუბუქი ვახშამი გელით დიდ დარბაზში. (სტუმრები სტოვებენ ბაღს)

დონ ხოზე (მარიტანას) სულ მალე ნახავთ მას, ვისზედაც ოცნებობთ! (გასვლისას მარკიზს ჩუმად) სინიორა არ გაუშვათ. (გადის)

### გამოსვლა მეორე

მარიტანა, მარკიზი და მარკიზა

მარიტანა (ხოზეს სიტყვებით აფორიაქებულია) რა სთქვა? „სულ მალე ნახავთ მას, ვისზედაც ოცნებობთ!“ გაიგონეთ, რა სთქვა დონ ხოზემ?

მარკიზი არა... მაგრამ ალბათ ძალიან კარგად იტყოდა...

მარიტანა მალე ვნახავ? ახ, არა, არა, ალბათ ისევე მატყუებენ... კვლავ რაღაცას მიმალავენ. ჩემი იდუმალი ქორწინების წუთიდან ჩემ გარშემო ყველაფერი საიდუმლოებამ მოიცვა... მითხრეს, რომ

გრაფინია დე ბაზანის წოდება ჩემმა მფარველმა, დედოფალმა მომანიჭა, რათა ამ სახელმა და წოდებამ მასთან დაახლოების უფლება მომცეს. მაგრამ როცა ვკითხულობ - როდის ვიხილავ დედოფალს ესკორიალის სასახლეში-მეთქი, დონ ხოზეს მხოლოდ ერთი ცივი პასუხი აქვს: „მოთმინება!“ მოთმინება! მოთმინება. მოთმინება - მიმეორებს თუთიყუშივით... ყოველთვის, როცა გრაფინია დე ბაზანს მიწოდებენ, შემკრთალი ვეკითხები: სად არის, ან როდის დაბრუნდება ხანგრძლივი განდევნის შემდეგ ჩემი ქმარი, რომელზეც ჯვარი გადამწერეს საპყრობილის საყდრის სიბნელეში-მეთქი? „მოთმინება, მოთმინება“ - მესმის პასუხად. და სულ ასე დაუსრულებლივ! ჩემს სიამაყეს, რომელიც დიდებისაკენ ისწრაფვოდა, ჩემს ნაზ გრძნობას, რომელიც ქმრის სინაზესა და ალერსს მოუხმობს, მუდამ ერთსა და იმავე პასუხს აძლევენ: მოთმინება, მოთმინება... (მარკიზს) მითხარით, სინიორ, დონ ხოზე მატყუებს, ხომ მართალია? ო, რა თქმა უნდა, მატყუებს.

- მარკიზი დონ ხოზე გატყუებთ? თუ ასეა, ხომ მეც მატყუებს? და მაშასადამე, მაშინ მე ველარ მივიღებ უდიდებულესობის ოთახის ფინიების მმართველის თანამდებობას...
- მარკიზა ამას გარდა, მულისწულო, ის თქვენი ქმარი, რომელიც თქვენ ასე გიყვართ და რომლისაც ასე გჯერათ....
- მარკიზი (აწყვეტინებს) გაზელლა, ფრთხილად!
- მარკიზა (განაგრძობს) ქმარი, რომელსაც თქვენ სრულებით არ იცნობთ და რომელიც თვალითაც კი არ გინახავთ...
- მარიტანა მართალია, არ მინახავს... მაგრამ ვიცი, რომ ის კეთილშობილი და გულკეთილი ადამიანია იმიტომ, რომ მან უშიშრად დაუკავშირა ბედი უგვარტომო ბოზა ქალის ბედს... ისიც ვიცი, რომ იგი უბედურია, რადგან საპყრობილეში ჩამწყვდეულმა, ტუსალობაში იქორწინა ჩემთან. ახლაც იძულებულია იცხოვროს თავის სამშობლოდან დაშორებით... ჩემგან დაშორებით. მითხარით, სინიორა, განა მე ორმაგი სიყვარულით არ უნდა მიყვარდეს ის, როგორც კეთილი და როგორც უბედური? არა, აღარ მსურს ასე ცხოვრება - მუდმივ ეჭვსა და ბნელით მოცულ უიმედობაში.

მინდა დონ ხოზემ მიპასუხოს: ბოლოს და ბოლოს, როდის ვიხილავ დედოფალს, ან როდის მეღირსება ჩემი ქმრის ნახვა?

გამოსვლა მესამე

იგივენი და დონ ხოზე

დონ ხოზე (შემოდის) დღეს, სინიორა!

მარიტანა დღეს?

მარკიზი (იქით) დღესო? (დონ ხოზეს ჩუმად) მაშასადამე, ის არ მომკვდარა!

მარკიზა მაგრამ თქვენ სთქვით, რომ ის...

დონ ხოზე (ჩუმად) გაჩუმდით!

მარიტანა მონსენიორ! მე სწორად ვერ გავიგონე, ხომ მართალია?

დონ ხოზე დამშვიდდით და მომისმინეთ.

მარკიზი (იქით) ახლა მაინც გავიგებ რამეს. (მარკიზი და მარკიზა ახლოს მიდიან)

დონ ხოზე სინიორ, სინიორა! (ხელით ანიშნებს მოგვცვილდითო)

მარკიზი დალახვროს ეშმაკმა! (თავს უკრავს და მარკიზასთან ერთად გადის)

მარიტანა (მღელვარებისგან სული ეხუთება) ჩვენ მარტონი ვართ... სთქვით... ღვთის გულისათის, სთქვით... ჩემი ქმარი..

დონ ხოზე რამდენიმე საათის შემდეგ თქვენთან იქნება.

მარიტანა აქ მოვა?

დონ ხოზე არა... ვინაიდან იძულებულია მალულად იცხოვროს, ვიდრე საშინელი განაჩენი სდევნის, მას არ შეუძლია ამ დღესასწაულზე მოსვლა. აქ ხომ შეიძლება იცნონ. ამიტომ იგი მომენდო და მისი მე სახელით გელაპარაკებით. მადრიდიდან რამდენიმე მილის

დაშორებით, ტყის სიღრმეში განცალკევებით დგას სახლი, რომლის არსებობა ქვეყანაზე არავინ იცის... დონ სეზარმა მთხოვა მიგიყვანოთ იმ სახლში. რამდენიმე წუთის შემდეგ ბაღის ერთ-ერთ ხეივანში ეტლი გაჩნდება. ჩემი გამოგზავნილი მსახური გამოცხადდება და წარმოთქვამს: „გრაფინია დე ბაზანის ეტლი“ - ეს თქვენთვის ნიშანი იქნება. მაშინ უმაღვე გამოემურეთ და ის ეტლი მიგიყვანთ თქვენს მეუღლესთან. ახლა კი დაბრუნდით სტუმრებთან, რომ ვინმემ რაიმე არ იეჭვოს.

მარიტანა

დიახ, დიახ... რასაკვირველია. (იქით) აქამდე ასე მოუთმენლად ველოდი მის ნახვას, ახლა კი ასე რად მეშინია? (მიდის)

#### გამოსვლა მეოთხე

დონ ხოზე

(მარტო. გახარებულია) დღეს მეფე საყვარელს მიიღებს. დედოფალი სამაგიეროს გადაუხდის ქმარს. ყველა ზრახვა და სურვილი მოხერხებულად დავუმონე ჩემს ნებისყოფას. და თუ ამ გზაზე კვლავ გაუთვალისწინებელი დაბრკოლება გადამეღობა, მასაც გავანადგურებ. (ბაღში გამოჩნდება ბერი... იგი მშვიდად მიუახლოვდება დონ ხოზეს, თავს დაუკრავს, შემდეგ მოიძრობს წვერს, შორს მოისვრის).

#### გამოსვლა მეხუთე

დონ ხოზე და დონ სეზარი

დონ სეზარ

(მხიარულად) აი, მეც აქა ვარ... გამარჯობა, ჩემო ძვირფასო!

დონ ხოზე

(მეხდაცემულივით, გაშეშდება) დონ სეზარ! ნუთუ ეს შესაძლებელია? თქვენ... ცოცხალი ხართ!

დონ სეზარ

როგორც ხედავთ! საქმე ჩინებულად მიდის და თავსაც საუცხოოდ ვგრძნობ!

დონ ხოზე

(თავზარდაცემული) ცოცხალი ხართ... ცოცხალი ხართ, მაგრამ ვინ გადაგარჩინათ?



- დონ სეზარ (იხდის ბერის ტანსაცმელს) ვინა? რა თქმა უნდა, ჩემმა კეთილმა ფერიამ.
- დონ ხოზე კეთილმა ფერიამ?
- დონ სეზარ რომელმაც ჯადოსნური ჯოხის ერთი გაქნევით გაწყვიტა ჩემს კისერზე შემოჭერილი მარყუჟი!
- დონ ხოზე მაგრამ მე თვითონ გნახეთ ჯვრისწერის შემდეგ როგორ მიდიოდით სიკვდილით დასჯის ადგილისკენ.
- დონ სეზარ დიახ, მნახავდით. მაგრამ მე მივდიოდი მშვიდად და ღიმილი არ მშორდებოდა, რაკი მჯეროდა, რომ ჩემი კეთილი ფერია განსაცდელის ყველაზე საინტერესო წამშიც არ მიმატოვებდა, ვიცოდი, რომ მისი ჯადოსნური ჯოხი ჩემთვის გამზადებულ მუშკეტებს სასწაულმოქმედი ტყვიებით დატენიდა. სწორედ ასე გამოვიდა: როცა ზალპმა დაიგუგუნა და მეგონა ჰა, საცაა დადგა აღსასრულის ჟამი-მეთქი, უცებ შუბლზე სასიამოვნოდ მოშრიალე ყვავილების ღრუბელი შემომერტყა. ნორჩი, სურნელოვანი ყვავილების ღრუბელი ხომ წარმოგიდგენიათ? უცებ ისიც კი ვიგრძენი, როგორ არხევდა ნიავი ჩემს მშვენიერ კულულებს. მეც ალტაცებისა და მადლობის ნიშნად დავეცი მიწაზე ისე, როგორც დაეცემოდა ჩემ ადგილას, ნებისმიერი სხვა მკვდარი იდალგო.
- დონ ხოზე თქვენ დაეცით!
- დონ სეზარ თავაზიანობის გულისთვის... და კიდევ იმისთვის, რომ თავი ნამდვილ მკვდრად გამესაღებინა. ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ ეს იყო მხოლოდ სიზმარი და ორი საათის შემდეგ, ჩემი მაწანწალა მეგობრის, მატალობოსის საიდუმლო თავშესაფარში გავახილე თვალი. ცალ ხელში სავსე ბოთლი მეჭირა, ხოლო მეორეში - ბანქოს ქაღალდები. ესეც თქვენი წყალობა იყო. გმადლობთ, ჩემო კეთილო ფერიავ, გმადლობთ!
- დონ ხოზე (გაოცებული) მიღალატეს, მიღალატეს! მაგრამ ვინ? ვინ გამცა?
- დონ სეზარ (ჯდება დაუდევრად) ოჰო, აქ თურმე დიდი ზეიმი ყოფილა. რა არის ეს? დაბრუნებული ქმრის პატივსაცემად მოუწყვიათ, თუ

მიცვალეზულის სულის მოსახსენიებლად? თუმცა რა მნიშვნელობა აქვს - მე გარდაცვლილიც ვარ და დაბრუნებულიც.

დონ ხოზე

კმარა, შეწყვიტეთ!

დონ სეზარ

თქვენი ჯადოსნობა ამით არ დამთავრებულა... გუშინ, სეირნობისას, ჩამიქროლა ეტლმა, რომელშიც ორი ქალი იჯდა, ერთი მათგანი ახალგაზრდა და მშვენიერი, მეორე კი... მაგრამ მე მხოლოდ პირველს მივაქციე ყურადღება. (აღფრთოვანებით) მას ღმერთქალის ამაყი შუბლი ჰქონდა და მადონას უნაზესი თვალები. მშვენიერებით მოხიბლული უსიტყვოდ მივჩერებოდი მის ღვთაებრივ სახეს, რომ უცებ ერთ-ერთი ჩემი თანამგზავრის მითითებით ეტლის ჰერალდიკას დავაკვირდი... ასიათასმა ეშმაკმა დალახვროს: ეტლზე ჩემი გერბი ვიცანი. „ვინ არის ეს ქალი-მეთქი“ - შევძახე გაცეხულმა.. ერთმა გლეხმა მიპასუხა: ეს გახლავთ გრაფინია დე ბაზანი, რომელიც უკვე ერთი თვეა, რაც სან ფერნანდოს ციხედარბაზში სტუმრად იმყოფებაო...

დონ ხოზე

წყეულიმც იყოს!

დონ სეზარი

მოულოდნელობისგან გახელებული მივიჭერი და უცებ ვიცანი სათუთი ხელი, თეთრი და უნაზესი ხელი, რომელიც მე ხელში მეჭირა თქვენთვის კარგად მოსაგონარ დღეს. ანგარიშშიუცემლად უკან გამოვედევნე ეტლს... მაგრამ ციხედარბაზის ალყაფთან რომ მივალწიე, უკვე ღამის სიბნელე ჩამოწვა... კარები ცხვირწინ მომიჯახუნეს და თან ვიღაცამ მომამახა: „წათორიე აქედანო“. დაღონებული გამოვბრუნდი და ოცნებას გავეყვი. მთელი ღამე ცისქვეშ გავატარე, მარტოდმარტო, ბუნებასთან პირისპირ... თქვენ გესმით?! - მე მივხვდი, რომ მიყვარდა ის ქალი... ჭეშმარიტად მიყვარდა პირველად ჩემს სიცოცხლეში, მიყვარდა და ვიტანჯებოდი... ბოლოს მზემ კეთილი ინება და გათენდა. ციხედარბაზის კარი გაიღო და აი, მეც თქვენ წინაშე ვარ. სად არის ჩემი ცოლი? ჩქარა, მიპასუხეთ, რადგან ჩემთვის აქ ყოფნა სახიფათოა... მართალია, ჯერ ცოცხალი ვარ, მაგრამ მაინც სიკვდილი მაქვს მისჯილი.

დონ ხოზე

(გახარებული) ამას შეწყალების ამბავი არ სცოდნია! (მშვიდად) რას აპირებთ, დონ სეზარ?

- დონ სეზარ რას ვაპირებ? თქვენ როგორ ფიქრობთ, დონ ხოზე, რისთვის ქორწინდებიან ესპანეთში? ბოლოს და ბოლოს, მე ცოლიანი კაცი ვარ თუ არა? ჰო, თუ არა? დიახ, ცოლიანი ვარ. ჩემი ცოლი უმშვენიერესი ქალია და მე ის სიგიჟემდე მიყვარს, იგი კანონით მეკუთვნის და მსურს, რომ ჩემი იყოს!
- დონ ხოზე (იქით) რომ ამით ჩემი დიდი განზრახვები ჩაიფუშოს?
- დონ სეზარ თქვენ მომგვარეთ ის და თქვენვე გამცემთ პასუხს ახლა, დონ ხოზე! სად არის ჩემი ცოლი?
- დონ ხოზე (მოფიქრების შემდეგ, უცებ) არა, ეს არ მოხდება!

#### გამოსვლა მეშვიდე

- მარკიზი (შემოდის) მადლობა ღმერთს, ჩემი სტუმრები დიდად კმაყოფილნი და მხიარულნი არიან. დაუსრულებელივ სვამენ ჩემი დისწულის, გრაფინია დე ბაზანის სადღეგრძელოს.
- დონ სეზარ (აწყვეტინებს) გრაფინია? ჩემი ცოლი? სად არის?
- მარკიზი (თავზარდაცემული) როგორ? თქვენ დონ სეზარი ხართ? დონ სეზარი, რომელიც მოკვდა?
- დონ ხოზე (ჩუმად მარკიზს) სიტყვა აღარ დასძრათ და არ გაიკვირვოთ არაფერი, რაც ახლა აქ მოხდება. (ხმამალლა, თითქოს დაემორჩილა) დონ სეზარ, თქვენი უფლებები წმინდათაწმინდაა და არავინ ცდილობს, შეგედაოთ... თქვენი ცოლი - გრაფინია დე ბაზანი ახლავე აქ გაჩნდება (ხაზგასმით) მოითმინეთ. (გადის)

#### გამოსვლა მერვე

დონ სეზარი, მარკიზი, შემდეგ დონ ხოზე და მარკიზა

- დონ სეზარი აქ მოვა! მე ვიხილავ მას, ვიხილავ ახალგაზრდობისა და სილამაზის ქალღმერთს! ახ, სინიორ, სინიორ, ნუ წახვალთ,

დარჩით ჩემთან, გამამხნევეთ. ხელი მომეცით და დამიჭირეთ. ხომ ხედავთ ალტაცებისა და ბედნიერებისგან ვზარბაცებ.

მარკიზი მზად ვარ, სიამოვნებით დაგიჭიროთ! (დონ ხოზე შემოდის და მარკიზა შემოჰყავს)

დონ ხოზე (მარკიზას ხელზე ხელს უჭერს და მარკიზას გამაფრთხილებლად უცქერის თვალებში) აი, თქვენი ცოლი, დონ სეზარ!

დონ სეზარ (უკან იხევს) ო, ღმერთო ჩემო, მიშველეთ!

მარკიზი (იქით) ის ამას ჩემს ცოლს აძლევს ცოლად.

დონ სეზარი ეს სხვა ქალია... აი, თურმე რას ფარავდა ის წყეული პირბადე.

დონ ხოზე (მიდის დონ სეზართან, თანაგრძნობით) საბრალო მეოცნებევ, როცა ეტლში ორი ქალი დაინახეთ და გითხრეს, ერთი მათგანი გრაფინია დე ბაზანი არისო, რატომ არ ჰკითხეთ, ორში რომელს ეკუთვნოდა ეს ტიტული? (თანაგრძნობით ართმევს ხელს) საბრალო.

დონ სეზარ (მარკიზს ჩუმად) რა გზით შეიძლება ამ ციხედარბაზიდან საჩქაროდ გასვლა?

დონ ხოზე დონ სეზარ! გრაფინია დე ბაზანი მზად არის შეასრულოს თავისი ცოლ-ქმრული მოვალეობა, როცა კი მოისურვებთ.

დონ სეზარ მომიტევეთ... განა ვთქვი, მოვისურვებ-მეთქი? მე ამის თქმა არ მინდოდა! (დონ ხოზეს) ხომ არ გყავთ აქ თორმეტიოდე ყოჩალი ჯარისკაცი? მე მათი დატენილი მუშკეტები მირჩევნია მაგას. (ჩუმად მარკიზს) არა, ერთი შეხედეთ, ამ დაღმეჭილ დედაბერს!

მარკიზი (იქით) რეებს როშავს!

დონ ხოზე (დაბეჯითებით) სინიორა მზად, არის უკან გამოგყვეს.

დონ სეზარ (მარკიზას) ნუ შეწუხდებით, ქალბატონო. უპირველეს ყოვლისა, კეთილშობილი იდალგო გახლავართ და არა მათხოვარი, რომელმაც არ იცის რა პატივისცემითა და მზრუნველობით უნდა მოექცეს ქალსა... არა, მე არაფერს მოვითხოვ და არც არაფერს

გაიძულეხ. (ჩუმად მარკიზს) არა, ერთი შეხედეთ მაგ ბებერ მაიმუნს.

მარკიზი (იქით) ვაი, ჩემს უბედურებას - თავს ძლივს ვიკავებ, ლამის წამოვროშო!

დონ სეზარ არა, სინიორა, არა! იქნებ როდისმე, მრავალი წლის შემდეგ... შესაძლოა გავბედო (იქით) არა, არა, ამას ვერასოდეს გავბედავ... (მარკიზს ჩუმად) ბებერი კი ხართ, მაგრამ თქვენც არ დათანხმდებოდით მაგ როკაპის ცოლად შერთვას.

მარკიზი (მოთმინებიდან გამოსული) არა, ეს უკვე მეტისმეტია! თუ ეგ ქალი არ მოგწონთ, სხვებს მაინც ნუ გაუფუჭებთ გულს.

დონ ხოზე (მბრძანებლის ტონით) კმარა... კმარა სიცრუე და მოტყუება... გულახდილად ვილაპარაკოთ. (მკაცრად) დონ სეზარ, ჩვენ გვჭირდებოდა მხოლოდ თქვენი სახელი. სახელი და ტიტული... მეტი არაფერი... საქმოდ იმიტომ შეგარჩიეთ, რომ მხოლოდ ორი საათის სიცოცხლეა გქონდათ დარჩენილი.

დონ სეზარ (შეხედავს მარკიზს და ჩუმად ჩაილაპარაკებს) და მაშინაც კი ნაკლებად ვწუხდი, ვიდრე ახლა, როცა ამ ჯოჯოს ვუყურებ!

დონ ხოზე გრაფინია დე ბაზანს თქვენ არ უყვარხართ. ამრიგად, ჯერ კიდევ შეგვიძლია მოვრიგდეთ: თქვენი ცოლი მდიდარია, ძალიან მდიდარი. თქვენ კი სრულებით არაფერი გაგაჩნიათ.

დონ სეზარ არ სცდებით, მონსენიორ!

დონ ხოზე თქვენ მიიღებთ 6000 პიასტრს. შეგიძლიათ ხარჯოთ როგორც გნებავთ და სადაც გნებავთ, გარდა მადრიდისა. სანაცვლოდ პირობა უნდა მომცეთ, რომ ყველას წინაშე უარს იტყვით ქორწინებაზე.

დონ სეზარ ყველას წინაშე? აი, ამ ქორწინებაზე? (მარკიზაზე მიუთითებს) სიამოვნებით.

დონ ხოზე თუ ასეა, დაუყოვნებლივ დაწერეთ და ხელი მოაწერეთ, რასაც მე გიკარნახებთ.

- დონ სეზარ (სიჩქარით ჯდება) მიკარნახეთ!
- დონ ხოზე (უკარნახებს) მე, დონ სეზარ დე ბაზანი, გრაფი დე გაროფა... ვფიცავ ჩემს პატიოსნებასა და აზნაურის სიტყვას... გავეცალო მადრიდს და აღარასოდეს დავბრუნდე იქ, აგრეთვე ვფიცავ, დღეის იქით აღარ ვნახო ჩემი ცოლი, გრაფინია დე ბაზანი...
- დონ სეზარ (იქით) ეს გამოთაყვანებული ამაში 6000 პიასტრს მამღევს... პირიქით მივცემდი 12 ათასს. (იმეორებს ნაკარნახევ ბოლო სიტყვას) ჩემი ცოლი...
- დონ ხოზე და არ მოვთხოვო მას ცოლ-ქმრული ვალის აღსრულება.
- დონ სეზარ არასოდეს...
- დონ ხოზე მოაწერეთ ხელი...
- დონ სეზარ (ხელს აწერს) დონ სეზარ დე...
- ლაქია (უეცრად შემოდის) გრაფინია დე ბაზანის ეტლი (დონ სეზარი შეაჩერებს ხელის მოწერას)
- დონ ხოზე მოაწერეთ, მოაწერეთ ხელი, სინიორ! (გამოჩნდება მარიტანა, სტუმრებით გარემოცული)
- დონ სეზარ (აკვირდება, იცნობს) ის არის!
- სტუმარი (მარიტანას) გრაფინია დე ბაზან, ნება მიბოძეთ, ეტლამდე მიგაცილოთ.
- დონ სეზარ (კალამს გასტეხს) მომატყუეს, მომატყუეს! (მარიტანა მიდის, დონ სეზარი მას გაეკიდება.)
- დონ ხოზე (გზას გადაუღობავს) შეჩერდით, დონ სეზარ! (გაუწვდის მას ქაღალდს) თქვენ დაიფიცეთ პატიოსნება და სიტყვა აზნაურისა!
- დონ სეზარ (ქაღალდს გამოართმევს, დახევს, გაყრის) აკრიფეთ და შეაკოწიწეთ ჩემი ფიცის ნაფლეთები. (წასვლას დააპირებს)
- დონ ხოზე (ხელახლა შეაჩერებს) დონ სეზარ! სასიკვდილო განაჩენი თავს დაგტრიალებთ და ჩემი ერთი სიტყვაც კი საკმარისია, რომ სიცოცხლეს გამოესაღმოთ.

- დონ სეზარ            როგორც იქნა... ძლივს მოიხსენით ნილაბი და საზიზღარ ოინებს მიგიხვდით!
- დონ ხოზე            ჯერ კიდევ შეგიძლიათ გაიქცეთ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ აქ ყველა და ყველაფერი მე მემორჩილება.
- დონ სეზარ            ნულარ განაგრძობთ მაგ სამარცხვინო ვაჭრობას, რადგან მე საკმარისი პატიოსნება შემწევს იმისათვის, რომ თქვენ საზიზღარ გარიგებაზე უარი განვაცხადო.
- დონ ხოზე            ფრთხილად, აზნაურო! კიდევ ერთი ნაბიჯი იმ ქალისკენ, ერთი ნაბიჯი და მოგკლავენ!
- დონ სეზარ            გზიდან ჩამომეცალეთ. (ხელისკვრით ჩამოიცილებს დონ ხოზეს და გარბის)
- დონ ხოზე            ჩქარა! მდევარი! ათი ჯარისკაცი გამოეკიდოს ამ კაცს... შეიპყარით და თუ წინააღმდეგობას გაგიწევთ, მოკალით...

(საერთო ჩოჩქოლი)

ფარდა

მოქმედება მეოთხე

ქალაქგარე სახლის დარბაზი. შუაში დიდი ფანჯარა, რომელიც აივნისკენ იღება და ბაღში გადის გვერდით კარებით. მაგიდაზე ანთებული შანდლები.

გამოსვლა პირველი

- ლაზარლილი        (მარტო) ყველაფერი მზად არის. დონ ხოზემ თავისი სიტყვა შეასრულა და მეც ერთგულად უნდა ვემსახურო. მაგრამ რას ნიშნავს ეს საიდუმლოებანი? დონ ხოზემ ყველასგან ფარულად იყიდა ეს სახლი არანხუეცის სასახლიდან ორი ლიეს დაშორებით და მსახურად მე განმაწესა. როგორც კი მარტო დამტოვა, მაშინვე ვიღაც უცნობი ქალბატონი მობრძანდა და პატრონივით დაბინავდა... სინიორა, მე კი მეგონა, რომ თქვენს გულს მხოლოდ ერთადერთი გატაცება ანთებს - გიჟური და დანაშაულებრივი

გატაცება, რომელსაც ჩემ გარდა ვერავინ ამჩნევს... შესაძლოა, ერთადერთი არ აღმოჩნდეს, ვნახოთ... დამიცადეთ, მიბრძანა... დავუცადოთ...

გამოსვლა მეორე

ლაზარილიო და დონ ხოზე

- დონ ხოზე (ხმადაბლა) მოვიდა ვინმე?
- ლაზარილიო დიახ, მონსენიორ!
- დონ ხოზე ცხენები და ეტლი რა იქნა?
- ლაზარილიო უმაღვე უკან დააბრუნეს.
- დონ ხოზე კარგი!
- ლაზარილიო მონსენიორას მოვახსენო?
- დონ ხოზე (ხმადაბლა და შთამაგონებლად) არა, არაფერს ეტყვი არც ჩემზე და არც იმაზე, ვინც აქ მობრძანდება.
- ლაზარილიო ის კი, ვინც აქ მობრძანდება...
- დონ ხოზე (უფრო ხმადაბლა) სსს.... გუშინ ხომ მახლდი ესკორიალის სასახლეში?
- ლაზარილიო დიახ, მონსენიორ.
- დონ ხოზე ხომ გახსოვს, ერთი ქალბატონი მომიახლოვდა და მითხრა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, დონ ხოზე დე სანტერემ!“ მიდი სახე ხომ გახსოვს?
- ლაზარილიო მახსოვს? რას ბრძანებთ! მისი სახე ხომ ყველა ესპანურ ფულზე არის გამოხატული!
- დონ ხოზე ჩუმად! შენ დაიმახსოვრებ მხოლოდ მის სახეს, სახელს კი დაივიწყებ... აქ კი ღამეს მხოლოდ ეს ქალბატონი გაატარებს.
- ლაზარილიო თუ სხვა ვინმეც მოვიდა?



- დონ ხოზე კარს არ გაუღებ, და თუ ძალა დაგატანა, თუ დაგემუქრა, მუშკეტი ხომ გაქვს!
- ლაზარილიო მესმის, მონსენიორ, მუშკეტს დავასაქმებ.
- დონ ხოზე წადი, დამტოვე მარტო... (ლაზარილიო გადის)

### გამოსვლა მესამე

#### დონ ხოზე, ფიქრის შემდეგ

- დონ ხოზე ისევ გამოჩნდა ეს დონ სეზარი! ნეტა სიკვდილს როგორ გადაურჩა? რამდენიმე საათით ადრე რომ მოსულიყო, ყირაზე დააყენებდა ჩემს გეგმებს და მტვრად მიქცევდა იმედებს... და ეს იმ დროს, როცა უკვე მივუახლოვდი დასახულ მიზანს... დიახ, დიახ, დღეს ან არასოდეს!.. ყველაფერი მოვიფიქრე და ავწონ-დავწონე. დედოფალმა საიდუმლო ბარათი მიიღო, საიდანაც შეიტყო, რომ მას ატყუებენ და ღალატობენ. ამ ღალატის დამამტკიცებელ საბუთს დღეს ანანხუეცის სასახლეში წარუდგენს მისი ყველაზე ერთგული მსახური... მეფე დარწმუნებულია, რომ მისი მეუღლე ამჟამად მადრიდში იმყოფება, დედოფალმა კი ნადირობის საბაბით უკვე დასტოვა ესკორიალის სასახლე და საცაა ანანხუეცში ჩამობრძანდება. ახლოვდება ჟამი ნეტარებისა: შეურაცხყოფილი ქალის მრისხანება და შურისძიება მომანიჭებს მას, რაზედაც აქამდე დედოფალი უარს მეუბნებოდა... რაც შეეხება დონ სეზარს, არც მისთვის მომიკლია გულითადი ყურადღება: ათი რჩეული ჯარისკაცი კვალდაკვალ დავადევნე. ღამის სიბნელეში ისინი სულ ადვილად გაუსწორდებიან. ამით ყოველგვარი საფრთხე მოისპობა და ჩემი სურვილიც აღსრულდება... (მოისმის ნადირობის მოახლოებული ხმაური და ბუკების ხმა) დედოფალია! იგი ანანხუეცის უახლოვდება.

### გამოსვლა მეოთხე

#### დონ ხოზე და მარიტანა

- მარიტანა (შემოდის) ეს რა ხმაურია? აა, დონ ხოზე, თქვენ მესტუმრეთ?
- დონ ხოზე დიახ, გრაფინია, რათა შევამოწმო, ყველა ჩემი ბრძანება შეასრულეს თუ არა? ან კიდევ ხომ არაფერს ინებებდით?
- მარიტანა (მწუხარედ) არა, არაფერს, გმადლობთ, დონ ხოზე!
- დონ ხოზე აი, აგისრულდათ მშვენიერი ოცნებები: დღეს წოდება და სახელი, ხვალ - პატივი და სასახლის თაყვანისცემა... ხომ სწორედ მცოდნია მომავლის წინასწარმეტყველება, სინიორა? მაგრამ ყოველთვის გახსოვდეთ, მარიტანა, რომ მე ყველაფერი შეგისრულეთ, რაც აღვითქვით.
- მარიტანა არ დამავიწყდება, დონ ხოზე! (ცრემლმორეული) მაგრამ ჩემი მადლობა მუდამ ჩემი სინანულით იქნება აღსავსე, რადგან თქვენ არ იცით, თუ რა მალე მოინანია გრაფინია დე ბაზანმა ის სურვილები, რაც მარიტანამ გაგანდოთ.
- დონ ხოზე ეს რა ამბავია? სინანული? ცრემლები?
- ლაზარლიო (სწრაფად შემოდის) მონსენიორ, ის აქ არის!
- დონ ხოზე (პირზე ხელს ააფარებს) ჩუმად! (და მარიტანას წარუდგენს კარებში შემომავალ მეფეს) აი, სინიორა, თქვენი მეუღლე დონ სეზარ დე ბაზანი! (მოწიწებით თავს უკრავს და უკან-უკან მიდის სცენის სიღრმისკენ, ამავე დროს ნიშანს აძლევს ლაზარლიოს, რომ ისიც გავიდეს)
- მარიტანა (შეშინებული შეჰკვივლებს) ის არის!
- მეფე (მარიტანას) რა გითხრათ? ეს რას ნიშნავს, სანტარემ?
- მარიტანა ღმერთო ჩემო! ეს ის კაცია, ვისმა შემოხედვამაც მაშინ, მოედანზე გული გამიყინა.
- დონ ხოზე (მეფეს ჩუმად) თქვენო უდიდებულესობავ, იძულებული ვიყავ, მეცრუა. სხვანაირად ყველაფერი იღუპებოდა.
- მეფე როგორ იფიქრეთ, რომ დავთანხმდებოდი ამ...

დონ ხოზე ჩუმად, თქვენო უდიდებულესობავ, ძალიან გთხოვთ, ჩუმად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ქალს დაკარგავთ.

მეფე დაკარგავ? (ფიქრობს)

დონ ხოზე ახლა კი, თუ შეგიძლიათ... სინდისი გააჩუმეთ, ისევ და ისევ თქვენი სიყვარულისთვის... (თავს უკრავს და კარისკენ მიდის. თავისთვის) ახლა კი არანსუეცის სასახლეში, დედოფალთან!

### გამოსვლა მეხუთე

მეფე ო, არა, არა! არ მინდა ამ საზიზღარი ხრიკებით დავიმორჩილო იგი... მხოლოდ სიყვარული.. სიყვარული მიმიძღვის წინ. (უცებ შეჩერდება და აღტაცებული შეჰყურებს მარიტანას) ასეთი მშვენიერება დაკარგულია ჩემთვის? ასე სთქვა სანტარემმა?

მარიტანა ღმერთო მოწყალო, როგორ ვკანკალებ!

მეფე რად გამირბიხართ, სინიორა?

მარიტანა იმიტომ რომ.... მომიტევეთ...

მეფე როგორ გაფითრებულხართ? (აიღებს მის ხელს) ხელი ისეთი ცივი გაქვთ...

მარიტანა (ხელს გამოგლეჯს) სინიორ!

მეფე (დაბეჯითებით აცქერდება) რა გემართებათ, მარიტანა, ერთიანად კანკალებთ...

მარიტანა მართლაც აფორიაქებული ვარ... ისე ვღელავ... მაგრამ განა ჩემმა მღელვარებამ უნდა გაგაკვირვოთ? - ჩვენი ქორწინება ისეთი არაჩვეულებრივი და უცნაური იყო, რომ არაფერი უნდა გაგვიკვირდეს... მომიტევეთ გულახდილობა და ის გრძნობა, რასაც ახლა გაგიმხელთ - სინიორ, მე თქვენი მეშინია!

მეფე გეშინიათ? ქმრის სიყვარულს შიშით უპასუხებთ? (მბრძანებლურად) მაგრამ ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, სინიორა.... (უცებ გონს მოვა) მარიტანა, მითხარით, რად გეშინიათ ჩემი?

- მარიტანა ისეთი მკაცრი და მედიდური გამოხედვა გაქვთ, რომ... ახლა უნებურად ვგრძნობ, რა დიდი მანძილი გვაშორებს ერთმანეთს. რა მაღალია თქვენი მდგომარეობა და რა უმწეო იყო ჩემი ყოფა ამ ცოტა ხნის წინ. არა, სინიორ. მე ვერასოდეს გავბედავ იმას, რომ გელაპარაკოთ, როგორც ქმარს... თვალსაც კი ვერ გაგისწორებთ... ერთი სიტყვით, თქვენი მეშინია...
- მეფე და თუ შევეცდები, რომ გაგიღიმოთ, ჩემი მძიმე ნაღველის მიუხედავად? თუ ჩემი მკაცრი და მედიდური გამოხედვა ნაზი და მორჩილი გახდება, მოვიპოვებ თქვენს ნდობასა და თანაგრძნობას? დონ ხოზე მარწმუნებდა, რომ მოუთმენლად ელოდით ქმრის დაბრუნებას. ნუთუ მომატყუა?
- მარიტანა არა, თქვენ კი არა, მე მომატყუა, მონსენიორ!
- მეფე თქვენ?
- მარიტანა დიახ.. ყველაფერს გაიმბობთ... ჩემი ქმრის გაცნობა მსურდა. გარშემო ყველა ქალს, ყველა მსახურს გულისკანკალით ვეკითხებოდი გრაფ დე ბაზანის შესახებ...
- მეფე მერე, რას გაიმბობდნენ?
- მარიტანა რომ გადატაკებულმა, თავისი წრიდან გარიყულმა დე ბაზანმა მთელი ესპანეთი შემოიარა, თავგადასავალთა ძებნაში. მაგრამ მან მაინც შეინარჩუნა სიამაყე და კეთილშობილება. მითხრეს, რომ სილარიზის დღეებში, ხშირად მისთვის შემოსავლის ერთადერთი წყარო ბანქოს თამაში იყო, მაგრამ აქაც იმედს მხოლოდ პატიოსნებაზე ამყარებდა. მითხრეს, რომ იგი ყოველგვარი საბაზის გარეშე ხშირად მართავდა ორთაბრძოლებს, მაგრამ უფრო ხშირად იცავდა დაჩაგრულებს და მფარველობდა სუსტებს. და აი, ამ სიმარტოვისა და უდარდელობის, მამაცობის, დიდსულოვნებისა და სილატაკის ნარევში ვხედავდი ისეთ მომხიბლაობას, რომ მას მივუძღვენი მთელი ჩემი წარსული და მომავალი... თვითონაც ხომ ასევე ღარიბი და ყველასგან მიტოვებული ვიყავი. ვფიქრობდი, ვინ იცის, როცა მე მადრიდის ქუჩებში ვმღეროდი, იქნებ ბევრჯერ ჩაუვლია ჩემ გვერდით მხიარული სიმღერითა და თავის სილარიზებზე უდარდელი

სიცილით. ამიტომ მეგონა, რომ ის იგრძნობდა ჩემს გულს, ჩასწვდებოდა და გაიგებდა იმ სევდას, რაც მე სულს მიხუთავს ამ სასახლეში... ასე ველოდი მას, ველოდი, რომ კვლავ მკვდრეთით აღმდგარიყავი და ნამდვილ სიცოცხლეს დავბრუნებოდი. როცა მითხრეს, - დაბრუნდაო, გულმა მგზნებარედ დამიწყო ფეთქვა და მკლავები აღტაცებული თავდავიწყებით გაიშალა მის შესახვედრად. და აი, თქვენ გამოჩნდით! მე გხედავთ, გიცქერთ, მაგრამ თქვენში ვერა ვცნობ მას, ვისაც ასეთი თავდავიწყებით მოველოდი. ცივი და მედიდური ხართ, მკაცრი... ერთი სიტყვით, ვგრძნობდი, რომ მიყვარდა იგი, გიყურებთ და ვგრძნობ, რომ თქვენი მეშინია.

მეფე (სიყვარულით) თუ უდარდელი და მხიარული მეუღლე გინდათ, გამიღიმეთ, სასურველო, და ბედნიერება აავსებს ჩემს გულსაც სახესაც სიხარულით გამისხივოსნებს.

მარიტანა (თავს გაითავისუფლებს მისი მკლავებისგან) ღვთის გულისათვის, სინიორ!

მეფე (მრისხანებას შეიკავებს) ვხედავ, სინიორა, რომ სხვა გულებიც გეტრფიან, სხვები გეუბნებიან სიყვარულით აღსავსე სიტყვებს. (შეწუხებით) მათი სახე ნაკლებ მკაცრია და მათი შეხება თქვენში ასეთ შიშსაც არ იწვევს. აი, რატომ იცილებთ დღეს თქვენს ქმარს. (ხაზგასმით) თქვენს ბატონსა და მბრძანებელს!

მარიტანა დიახ, მართალი ბრძანდებით, სინიორ. თქვენ მბრძანებლობა გმართებთ, მე კი - მორჩილება! (თავს დახრის) თქვენ ჩემი ბატონი და მბრძანებელი ბრძანდებით. (თავს დაუკრავს და თავისი ოთახისკენ გაემართება)

### გამოსვლა მეექვსე

მეფე ძლივს! იგი ჩემია. სულერთია, სიყვარულმა დაიმორჩილა, თუ შიშმა, ბედნიერია თუ დამარცხებული - მაინც ჩემია. (სურს შევიდეს მარიტანასთან, მოულოდნელად გაისმის გასროლის ხმა. დონ სეზარი გამოჩნდება ფანჯარაში.) უცხო მამაკაცი! (მეფე

უკანვე გამობრუნდება იმ დროს, როცა დონ სეზარი განჯრიდან დაბლა ეშვება და ვერ ამჩნევს მეფეს)

დონ სეზარ ადამიანებთან შეხვედრის სამაგელი ჩვეულებაა. რომელი სატანა გამიმასპინძლდა და ასე მხურვალედ?

მეფე (გაფაციცებით თვალყურს ადევნებს მას)

ლაზარილიო (გამოჩნდება აივანზე მუშკეტით ხელში) დონ სეზარ. თურმე დონ სეზარი ყოფილა! (უკანვე გავარდება)

დონ სეზარ რაო? (შემობრუნდება და შეამჩნევს მეფეს) გთხოვთ, მომიტევოთ, სინიორ. ვერ შეგნიშნეთ.

მეფე სინიორ, როგორ მოხდა, რომ ფანჯრიდან შემოხვედით?

დონ სეზარ ისე მოხდა, სინიორ, რომ კარი დაკეტილი იყო.

მეფე ჩქარა თქვით, რა გნებავთ? აქ რამ მოგიყვანათ?

დონ სეზარ მთვარის შუქზე, ამ სახლის აივანზე შევნიშნე ქალი, რომელსაც მსურს, ახლო შევხედო!

მეფე ქალიო?

დონ სეზარ დიახ... დავაკაკუნე, მაგრამ კარის გაღებაზე უარი მითხრეს. ამიტომაც ფანჯრიდან შემოვედი. ალბათ ამის გამო მესროლეს. (დონ სეზარი მოიხდის ქუდს, საიდანაც ტყვია გადმოვარდება) ერთი უყურეთ! ტყვიას ქუდი გაუხვრეტია.

მეფე რა უფლებით შემოხვედით აქ?

დონ სეზარ მომიტევეთ, სინიორ. უფლება რომ მქონოდა, მანამდე გამოვიყენებდი, ვიდრე თოფს მესროდნენ... მინდა, შევხედო ამ ქალბატონს, ეს არის და ეს.

მეფე არ მსურს, რომ მას შეხედოთ.

დონ სეზარ რაო? მაშასადამე, თქვენ....

მეფე ამ სახლის პატრონი გახლავართ.

- დონ სეზარ ამ სახლის პატრონი? სადაც გრაფინია დე ბაზანი ცხოვრობს?
- მეფე იცნობთ მას?
- დონ სეზარ თითქმის არა. სულ რამდენიმე წუთით მინახავს. მაგრამ თუ გრაფინია დე ბაზანი აქ ცხოვრობს და ეს სახლი კი თქვენ გეკუთვნით, მაშინ ვინ ბრძანდებით?
- მეფე მე! (შეხედავს მარიტანას ოთახში მიმავალ კარებს) გრაფი დე ბაზანი გახლავართ.
- დონ სეზარ (გაოცებული) გრაფი! გრაფი დე ბაზანი! (იქით) ეშმაკმა წაიღოს, უცებ ორი დე ბაზანი გაჩნდა!
- მეფე ასე, ბატონო ჩემო! უკვე გითხარით, თუ ვინა ვარ. ახლა თქვენი ვინაობა ბრძანეთ.
- დონ სეზარ (იქით) ღმერთმანი, არაფერი მესმის! რა უტიფარი მატყუარა ყოფილა. არა, ამ თავხედს ჭკუა უნდა ვასწავლო.
- ლაზარილიო (გამოჩნდება აივანზე) სსს... ჩუმად.
- დონ სეზარ (ჩუმად) ლაზარილიო!
- ლაზარილიო (ასევე ჩუმად) სსსს... ეს მეფეა, მეფე! (გაუჩინარდება)
- დონ სეზარ (შლიაპას მოიხდის) მეფეა? მეფე აქ არის? ამ დროს? თან ჩემი ცოლიც... ააა. ახლა გასაგებია ყველაფერი!
- მეფე ბოლოს და ბოლოს, მიპასუხებთ თუ არა, - ვინ ხართ?
- დონ სეზარ მე ვინა ვარ?
- მეფე თავგზა აგებნათ! ამ კითხვამ შეგადრწუნათ.
- დონ სეზარ დიახ. მეც ასე მგონია. დიახაც, რომ შემადრწუნებდა. (იქით) რომელ ეშმაკად ნებავს რომ გადავიქცე, როცა თვითონ ჩემად გადაქცეულა?
- მეფე თქვენი სახელი, სინიორ. მინდა ვიცოდე თქვენი სახელი.

- დონ სეზარ მაშ კარგი. თუ თქვენ დონ სეზარი ბრძანდებით, (ამაყად დაიხურავს შლიაპას) მაშინ მე ესპანეთის მეფე გახლავართ.
- მეფე გაიმეორეთ - მეფეო?
- დონ სეზარ დიახ, მეფე მთელი ესპანეთისა.
- მეფე მთელი ესპანეთისა! ესპანეთის მეფე ხართ?
- დონ სეზარ (ჯდება ამაყად ცხვირაწეული) ისევე, როგორც თქვენ ბრძანდებით დონ სეზარი... ღმერთო ჩემო, რა გაოცებული ხართ თქვენს უდიდებულესობასთან, კარლოს მეორესთან შეხვედრით, ამაღის გარეშე, შუალამისას, განმარტოებით, ქალთან, რომელიც მას არ ეკუთვნის. რას იზამთ, დონ სეზარ. ჩემი უდიდებულესობა მოწყენილია. ჩემს უდიდებულესობას გართობა სურს. დაე, ეს მეფური სიცელქე საიდუმლოდ დარჩეს, მაგრამ მე მშვიდად ვარ, თქვენ ამ საიდუმლოს არ გასცემთ.
- მეფე (იქით) რა უტიფარია! მაგრამ მაინც ვინ უნდა იყოს ეს კაცი?
- დონ სეზარ ჰო, გამახსენდა. თქვენ მართლაც დონ სეზარი ბრძანდებით. მე მას ვიცნობ. ყველა ჩემს ქვეშევრდომს ვიცნობ. მაგრამ, თუ მეხსიერება არ მღალატობს (წამოიწევს ასადგომად) იმ დონ სეზარმა, წინააღმდეგ ჩვენი ბრძანებისა, ორთაბრძოლაში მოჰკლა ჩვენი გვარდიის კაპიტანი... ის დონ სეზარი გაასამართლეს, მიესაჯა სიკვდილი და ახლა მკვდარი უნდა იყოს. თქვენ კი აქ სრულიად ჯანმრთელს გხედავთ, თანაც მეუბნებით, დონ სეზარ დე ბაზანი ვარო. (გულხელს დაიკრეფს) ერთი მიბრძანეთ, გეთაყვა, რატომ ხართ ცოცხალი? დონ სეზარი ხართ და ამას ხმამაღლაც კი აცხადებთ? იცით თუ არა, რომ ახლა მცველებს დავუძახებ... (ცივად) მაგრამ არავისაც არ დავუძახებ.
- მეფე (უკან იხევს) თქვენო უდიდებულესობავ! თქვენს უდიდებულესობას მალე დავიწყებია, რომ...
- დონ სეზარ რა დაივიწყა ჩემმა უდიდებულესობამ?
- მეფე (ხაზგასმით) რომ დონ სეზარ დე ბაზანს მეფემ აპატია დანაშაული და საგანგებო ბრძანებით სიცოცხლე შეუნარჩუნა. ეს ბრძანება



ხელმოწერილი იქნა სიკვდილით დასჯის დღეს, საღამოს 8 საათზე.

დონ სეზარ (იქით)თურმე შეწყალებაც მქონია! (ხმამაღლა) ხელმოწერილი იქნა საღამოს რვა საათზე... ესე იგი სიკვდილით დასჯიდან, ერთი საათის გასვლის შემდეგ... დიახ, დიახ, მე თქვენ გაპატიეთ... დიდსულოვნება და მოწყალეობა გამოვიჩინე... სრული ერთი საათის დაგვიანებით. (იქით) მგონი, არც თუ ურიგო ამბავია!

მეფე ამრიგად, მცველების დამახება საჭირო აღარ გახლავთ!

დონ სეზარ ასევე აღარ არის საჭირო, რომ ამოვეფარო ტიტულს, რომელიც მე არ მეკუთვნის!

მეფე ა, მაშ აღიარებთ რომ...

დონ სეზარ ვაღიარებ, რომ მე არა ვარ მეფე ესპანეთისა. ვაღიარებ... მგონი, ამაში ცოტა ეჭვიც კი გეპარებოდათ! ხომ მართალია?

მეფე და თქვენ...

დონ სეზარ (აწყვეტინებს) ადამიანს, რომელსაც უნიღბოდ სიარული შეუძლია, თავისი სახელის დამალვა აღარ სჭირდება.

გამოსვლა მეშვიდე

(იგივენი და ლაზარილიო)

ლაზარილიო (შემოდის და მეფეს ჩუმად) თქვენო უდიდებულესობავ, საიდუმლო მომართვა გახლავთ! (ცალ მუხლზე დაიჩოქებს და მიართმევს წერილს)

მეფე (წაიკითხავს) ლალატია! დედოფალი ვიღაცას გაუფრთხილებია და უკვე არანხუეცის სასახლეში მოსულა... ჩქარა, ცხენი!

ლაზარილიო ცხენი უკვე შეკაზმული გიცდით, თქვენო უდიდებულესობავ.

მეფე (ლაზარილიოს გვერდზე გაიხმობს) შენ დონ ხოზეს ემსახურები?

ლაზარილიო მისი უერთგულესი მსახური გახლავართ!

მეფე ამ კაცს თვალ-ყური ადევნე!

- ლაზარილიო           თვალს არ მოვაცილებ!
- მეფე                    ისე მოახერხე, რომ მალე დაიკარგოს აქედან და ეცადე მისი სახელი გაიგო! (სწრაფად გადის)
- ლაზარილიო           როგორ! ეს თქვენ ბრძანდებით, დონ სეზარ?
- დონ სეზარ            მე ვარ, ლაზარილიო, კაცი, რომელსაც შენ ერთხელ სიცოცხლე შეუნარჩუნე.
- ლაზარილიო           და რომელსაც ახლა თოფი ვესროლე!
- დონ სეზარ            აა! აი, თურმე რა ყოფილა! მაშასადამე, როცა სიკვდილს გადამარჩინე, მხოლოდ სესხად მოგიცია სიცოცხლე და ახლა გასურდა უკანვე მიგელო!
- ლაზარილიო           ო, არა, მონსენიორ! აზრადაც არ მომსვლია, რომ ეს თქვენ იყავით!
- დონ სეზარ            კარგი ყმაწვილი ხარ, ლაზარილიო! მაგრამ შენ ხომ ნაბრძანები გაქვს ჩემი აქედან გაგდება.
- ლაზარილიო           დიახ, მეფემ ასე მიბრძანა.
- დონ სეზარ            თუ არ დაგემორჩილე და წინააღმდეგობა დავაპირე?
- ლაზარილიო           წინააღმდეგობაო? ვისთან? აქ მარტო ვარ და სულით და გულით თქვენი ერთგული გახლავართ.
- დონ სეზარ            მომწონს ეგ პასუხი. მამაცი ყმაწვილი ხარ და თუ ოდესმე კვლავ სიმდიდრე მეღირსა...
- ლაზარილიო           სამსახურში ამიყვანთ?
- დონ სეზარ            აგიყვან და თან როგორ? - ათ გვარდიელს ჩაგაბარებ და იმ რაზმის მეთაური იქნები, ჩემო პატარავ! მაგრამ ერთი ეს მითხარი, ამ სახლში ხომ ქალი იმყოფება?
- ლაზარილიო           დიახ, სინიორ.
- დონ სეზარ            მინდა ვნახო და მოველაპარაკო. წადი, გააფრთხილე.
- ლაზარილიო           საჭირო არ არის, აი თვითონ მობრძანდება,

მარიტანა (შემოდის) უცნობი!

დონ სეზარ (ლაზარილიოს ჩუმად) დამტოვე.

ლაზარილიო გემორჩილებით, მონსენიორ. (გადის)

### გამოსვლა მერვე

#### მარიტანა და დონ სეზარი

დონ სეზარ (დიდხანს უსიტყვოდ ათვალიერებს) ძლივს შევხვდით ერთმანეთს! და ეს არც ისე ადვილად მოხდა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის მაინც, რადგან აქ მოსასვლელად გავუმკლავდი ათ შეიარაღებულ ახალგაზრდას, გარდა ამისა, აქ თოფის სროლით შემეგებნენ! და ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის, რომ თქვენ მენახეთ!

მარიტანა მე გენახეთ? არაფერი მესმის...

დონ სეზარ მგონი, ძალიან გაკვირვებული ხართ, მაგრამ საჭირო არ არის. ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, იმდენად კარგად, რომ შემძლია ისიც კი გითხრათ, თუ ვინ ბრძანდებით და რას წარმოადგენთ.

მარიტანა სინიორ!

დონ სეზარ რა უყავით ჩემს სახელსა და ჩემს პატიოსნებას, სინიორა?

მარიტანა რომელ სახელსა და პატიოსნებაზე მელაპარაკებით?

დონ სეზარ ჩემს სახელსა და პატიოსნებაზე, ვინაიდან მე დონ სეზარ დე ბაზანი გახლავართ!

მარიტანა თქვენ? ეს კაცი შეშლილია!

დონ სეზარ არ გჯერათ? მესმის... თქვენ იმედს ამყარებდით ჩემს სიკვდილზე. საპრობილეში იმისთვის მოხვედით, რომ მიგელოთ ჩემი ტიტული. იცოდით, რომ ჯარისკაცები მალე სიცოცხლეს გამომასალმებდნენ და ალბათ საკურთხევლიდან გამოსვლისას გულისფანცქალით ყურს უგდებდით მუმკეტების გასროლის

ხმას, რაც მე სიცოცხლეს წამართმევდა, თქვენ კი თავისუფლებას მოგანიჭებდათ.

მარიტანა

რას მეუბნება?

დონ სეზარ

და ყველაფერი ეს ჩაიდინეთ იმიტომ რომ, იძულებული იყავით სახელით დაგეფარათ თქვენი უპატიოსნება. ეს საზიზღარი უნამუსობაა!

მარიტანა

სინიორ. მომისმინეთ, სინიორ. ყველაფერი, რასაც თქვენ მეუბნებით, ტყუილია. დიახ, ტყუილია. ეს მე კარგად ვიცი, მაგრამ თქვენს სიტყვებში მაინც ისეთი გულწრფელობაა, თქვენს ხმაში ისეთი სიმართლეა, რომ გული მეგლიჯება და სული მიწუხს. მითხარით, სინიორ, მიპასუხეთ - ვინა ხართ თქვენ?

დონ სეზარ

უკვე მოგახსენეთ, სინიორა. დონ სეზარ დე ბაზანი გახლავართ.

მარიტანა

კი მაგრამ, დონ სეზარი დღეს ვნახე... სულ ცოტა ხნის წინ აქ იყო.

დონ სეზარ

ცოტა ხნის წინ აქ არავინ ყოფილა თქვენი საყვარლის გარდა. აქ არავინ ყოფილა, გარდა ესპანეთის მეფისა!

მარიტანა

ესპანეთის მეფისა?

დონ სეზარ

და თქვენ ეს კარგად იცოდით!

მარიტანა

(მოუთმენლად) საბუთი! გაქვთ იმის საბუთი, რასაც მეუბნებით? ბოლოს და ბოლოს, საიდან უნდა მცოდნოდა? საკურთხევლის ზღურბლთან მძიმე პირბადე ჩამომაფარეს და შესაძლოა, ეს განგებ ჩაიდინეს. იქნებ, ეს ხაფანგი იყო ჩემთვის. (გამოცოცხლებით) სინიორ, თუ ეს მართლა თქვენ იყავით, უნდა გამიხსენოთ თქვენი სიტყვებით, ერთადერთი, რაც მაშინ მითხარით.

დონ სეზარ

მე მახსოვს ის სიტყვები, სინიორა. საპყრობილედან საყდარში შევედით და მღვდელმა ორივე დაგვლოცა. დავცინოდი ჩემს მოახლოებულ სიკვდილს და თქვენი სიახლოვე მამხნევებდა. მე ხელი გამოგიწოდეთ და გითხარით: „ამ წუთიდან მთელი ჩემი სიცოცხლე თქვენ გეკუთვნით, სინიორა.“

- მარიტანა ღმერთო მოწყალო! ის არის! დიახ, დიახ, ის სიტყვებია. ეს თქვენ ხართ, თქვენ ხართ, სინიორ!
- დონ სეზარ მე ვარ. ვინც მკვდარი გეგონეთ, მე ვარ, ვინც მოვედი და დაგირღვიეთ მეფური რომანი.
- მარიტანა (ამაყად) დონ სეზარ დე ბაზან! ნუ შეურაცხმყოფთ! მე თქვენგან დაცვას მოვითხოვ!
- დონ სეზარ ვისგან დაცვას? ნება მიბოძეთ, გკითხოთ!
- მარიტანა ვგრძნობ, რომ თქვენ მათ თანამონაწილედ მთვლით, მაგრამ მე ამის შესახებ სრულებით არაფერი ვიცოდი, სინიორ. მე წყვილი ვიყავი მოცული და არ ვიცოდი, სად მივყავდი. მითხრეს, დედოფალი ეკლესიაში გელისო და მეც დავუჯერე. მითხრეს, შენი ცხოვრება უცნობ და უჩინარ ქმარს უნდა დაუკავშირო და მეც დავუჯერე. ახლა ვგრძნობ ჩემს დანაშაულს, ეს ჩემი სიამაყე და ფუჭი პატივმოყვარეობაა. მაგრამ ნუ მეუბნებით, რომ ამ საშინელი ინტრიგის თანამონაწილე ვარ. ნუ მეტყვით, თითქოს დონ სეზარის ცოლი მეფის საყვარელია! მეფე! აი, ის კაცი... ახლა პირველად ვნახე და ვუთხარი, რომ მისი შეხედვაც კი მხოლოდ შიშს მგვრის. იყო წუთი, რომ თუ ის ამ ზღურბლს გადმოაბიჯებდა, ცოცხალს ვეღარ მნახავდა! ღმერთო ჩემო, არ ვიცი, რა გითხრათ, რომ ჩემს სიმართლეში დაგარწმუნოთ. მაგრამ ნუთუ ჩემს ხმაში, ჩემს გამოხედვაში არ გამოსჭვივის სიმართლე, რომელიც გეუბნებოდეთ: დიახ, ეს ქალი არ სტყუის, ეს ქალი უდანაშაულოა?
- დონ სეზარ თქვენი მხრივ, რა საბუთს წარმოგიდგენთ, სინიორა?
- მარიტანა საბუთი! მომისმინეთ. თქვენ ჩემი ქმარი ხართ. თქვენ იქნებით ჩემი მსაჯული და მბრძანებელი. თუ ფიცი გავტებე, განმდევნეთ, თუ თქვენი პატიოსნებისთვის ჩირქი მომიცხია, მომკალით. (მუხლებზე დაეცემა. ფანჯრის იქიდან ხმაური მოისმის)
- დონ სეზარ შეიარაღებული ხალხი გარს ერტყმის ამ სახლს!
- მარიტანა (თავზარდაცემული) სინიორ, ნუ წახვალთ, ნუ მიმატოვებთ.

- დონ სეზარ ადექით, სინიორა. მეფე თქვენი საყვარელი ვერ გახდება, ვიდრე თქვენ გრაფ დე ბაზანის ქვრივი არ გახდებით. (დაშნას იმიშვლებს)
- მარიტანა არა, არა, თავს უშველეთ, ისინი მოგკლავენ და მე უმწეოდ დავრჩები. თავს უშველეთ, გაიქეცით!
- დკმ სეზარ გავიქეცე ერთ მხარეს, რომ მეორე მხრიდან მეფე შემოვიდეს?
- მარიტანა ო, ციურო ზემთაგონებავ! დედოფალი! ის მიცნობს და დამიფარავს შეურაცხყოფისგან. მუხლებში ჩავუვარდები და შველას შევევედრები. გეუბნებით ის მე გადამარჩენს. (კარისკენ გაქანდება)
- ლაზარილიო (შემოდის) შესდექით, აქედან გასვლა შეუძლებელია. სახლს ჯარი შემორტყა.
- მარიტანა ღმერთო მაღალო! მათ სურთ აქაურობას მომაშორონ!
- ლაზარილიო არა, ნაბრძანები აქვთ თვალყური ადევნონ ამ სახლს და მხოლოდ და მხოლოდ თქვენ არ გაგიშვან აქედან, სინიორა.
- მარიტანა დონ სეზარ, მომეცით პატიოსანი სიტყვა, რომ თხოვნას შემისრულებთ.
- დონ სეზარ მიბრძანეთ, სინიორა!
- მარიტანა გაეშურეთ დედოფალთან... უთხარით, რომ მე წინად მარიტანას მიწოდებდნენ. უამბეთ, რა საფრთხე მომელის. ვიცი, ამით თქვენგან დიდ მსხვერპლს მოვითხოვ, მაგრამ თუ ამას შემისრულებთ, შემოგწირავთ ყველაფერს, რის შემოწირვაც შემიძლია. იცოდეთ, რომ ამ თავგანწირვის შემდეგ თქვენ გეკუთვნით მთელი ჩემი სიცოცხლე.
- დონ სეზარ (გულაჩუყებით) სინიორა, მაგ სიტყვებით თქვენ სასწაურლი მოახდინეთ. მაწანწალა დონ სეზარი აღარ არსებობს, ესპანელი გრაფი დონ სეზარი აღსდგა!

ფარდა

მოქმედება მეხუთე

გამოსვლა პირველი

სამლოცველო, ორი გვერდითი კარი, ფანჯარა, დაკიდული ფარანი ანათებს სცენას.

მარიტანა ღმერთო ჩემო, ასე რად იგვიანებს! თითქმის სამი საათია, რაც წავიდა. დედოფალი ახლა უკვე არანხუეცის სასახლეშია. ალბათ მან უკვე ნახა და გადასცა ჩემი თხოვნა. დიდი ხანია, დროა დაბრუნებისა. ხომ იცის, რომ მე აქ მარტოდმარტო ვარ. შიშისგან გული მეღევა, მაგრამ მაინც თავი უნდა გავიმხნეო. აქ არავითარი საფრთხე არ მემუქრება, რადგან თვით ზეცა მიფარავს. დიახ. რა თქმა უნდა, განა თვით ზეცამ არ მოავლინა დონ სეზარი, რომელიც სწორედ დროზე გამოჩნდა, რომ ჩაეფუშა მტრის ოინები! (ყურს მიუგდებს) ეს რა ფეხის ხმა ისმის? (მივა სარკმელთან) რა სიბნელეა! ვერაფერს ვარჩევ... წამოსასხამიანი მამაკაცი მოდის აქეთ. ალბათ ის არის.

გამოსვლა მეორე

მარიტანა და ლაზარილიო

ლაზარილიო (შემკრთალი) სინიორა! ის მოვიდა. აი, ის...

მარიტანა ეს ის არის, დონ სეზარი.

ლაზარილიო არა, არა, სინიორა, ეს მეფეა...

მარიტანა მეფე? ო, წმინდა მადონა! ლაზარილიო, გემუდარები, მარტო ნუ დამტოვებ!

ლაზარილიო მაგრამ თუ მეფე მიბრძანებს, რომ წავიდე...

მარიტანა არ წახვალ...

ლაზარილიო კი, მაგრამ ის ხომ მეფეა, სინიორა!

მარიტანა დიახ, მეფეა, რომელსაც ყველა ემორჩილება. ჰოი, უფალო, სულ არა გაქვს ჩემდამი სიბრალული. ჩემი დაღუპვა გინდა.

ლაზარილიო კიბეზე ამოდის... უკვე ახლოა, სინიორა.

- მარიტანა და ასეთ წუთებში მარტოსა მტოვებ? (ლაზარილიო თავს დახრის) კარგი, მაშ მომეცი აქ შენი ხანჯალი. (ამოაძრობს მას ხანჯალს)
- ლაზარილიო როგორ უნდა გაბედოთ მასზე ხელის აღმართვა. მეფეზე!
- მარიტანა არა, ჩემზე. მას თუ სიბრალოელი არ გაჩნია და თავის დაცვას ვერ შევძლებ, თავს მოვიკლავ.

გამოსვლა მესამე

იგივენი და მეფე

- მეფე (შემოსვლისას ლაზარილიოს ჩუმიად) სად არის ის უცნობი კაცი, აქ რომ დავტოვე?
- ლაზარილიო თითქმის მაშინვე წავიდა, თქვენო უდიდებულესობავ.
- მეფე ვინ არის, რად მოვიდა ამ სახლში?
- ლაზარილიო თავშესაფარს ეძებდა, ახალგაზრდები მოსაკლავად მოსდევდნენ.
- მეფე (ხმამაღლა) ახლა კი მარტო დავტოვე.
- ლაზარილიო უცქერის მარიტანას და მერყეობს
- მეფე ხომ გესმის?
- მარიტანა დაემორჩილე შენს მბრძანებელს, ლაზარილიო. უფრო სწორად - შეასრულე მისი უდიდებულესობის კარლოს მეორის ბრძანება. (ლაზარილიო გადის)
- მეფე ეს რა მესმის? წყეულიმც იყოს, ვინ გაბედა, ვინ გამთქვა?
- მარიტანა შემოდლია დაგისახელოთ ვინც გაგთქვათ, თქვენო უდიდებულესობავ.
- მეფე სთქვი.
- მარიტანა (მწუხარებით) თქვენ გაგთქვათ იმ ადამიანმა, ვინც გაიძულათ ვერაგობა ჩაგედინათ და მეფისთვის უღირსი ტყუილის თქმა ჩაგაგონათ.



- მეფე სინიორა!
- მარიტანა ეს არის ის ადამიანი, რომელმაც ყველაზე უწმინდეს ფიცს დასცინა, ფეხქვეშ გათელა პატიოსნება და გაბედა ეთქვა: მარიტანა, აი, თქვენი ქმარი, გრაფი დე ბაზანიო...
- მეფე კარგი. რადგან ჩემი ვინაობა და ტიტული გაგიმხილეს, მინდა სრული სიმართლე გაიგოთ. მე ასე მინდა, იმიტომ რომ თავის მოჩვენება ჩემთვის წამება იყო. ეს სიცრუე აშფოთებდა ჩემს სიამაყეს და თვალთმაქცური მოტყუების ნილაბქვეშ სირცხვილისგან ვიწვოდი. დიახ, მეფე ვარ, მაგრამ ის გაუბედავი და სუსტი მეფე კი აღარა ვარ! ახლა მე ვისარგებლებ მთელი ძალაუფლებით, რომ გავანადგურო ყველა, ვინც კი შენს წართმევას მოისურვებს.
- მარიტანა ღმერთო ძლიერო!
- მეფე მას შემდეგ, რაც გაგიცანი, მარიტანა, ჩემში დაიბადა უსაზღვრო და შეუკავებელი სურვილი, ვნება, ისევე როგორც დიდი სიყვარული და ჩემს მეფურ ფიცსა ვდებ, რომ ჩემი იქნები!
- მარიტანა (უკან დაიხევს) ო, თავი დამანებეთ, გემუდარებით, თავი დამანებეთ.
- მეფე მე შენ მიყვარხარ, მარიტანა! ჩემს გულში პირველად აინთო სიყვარულის გრძნობა და პირველად მოსწყდა ჩემს ტუჩებს საალერსო სიტყვები.
- მარიტანა თქვენო უდიდებულესობავ, გემუდარებით, შემიბრალეთ და თავი დამანებეთ. ო, სამუდამოდ თქვენზე მლოცველი ვიქნები, თუ წახვალთ და მარტო დამტოვებთ.
- მეფე მე წავიდე? წავიდე, როცა ძლივს ველირსე შენთან მარტო ყოფნას, შენთან სხვების დაუსწრებლად ლაპარაკს. წავიდე შენგან, როცა დადგა ჩემთვის ნანატრი დღე, რომელსაც მთელი არსებით ველოდი!
- მარიტანა გთხოვთ, მომისმინოთ, თქვენო უდიდებულესობავ, გთხოვთ შეიბრალოთ ჩემი ცრემლები.

- მეფე                    მაგ სიტყვებით ვერ დააოკებ ჩემი ვნებათაღელვის ბობოქრობას. ვერც მაგ ცრემლებით ჩააქრობ ჩემს გულში აგიზგიზებულ ცეცხლს, რომლის ალიც ჰაერივით გარს შემომხვევია, მარიტანა! (მიიწევს მისკენ)
- მარიტანა            შესდექით, თქვენო უდიდებულესობავ! (აღმართავს ხანჯალს) კიდევ ერთი ნაბიჯი და თქვენ მე მომკლავთ!
- მეფე                    ააა. მაშ, შენში სიძულვილს ვიწვევ?
- მარიტანა            არა, სიძულვილს კი არა, თქვენო უდიდებულესობავ, მე სხვას ვეკუთვნი.
- მეფე                    რაო? რა სთქვი?
- მარიტანა            სხვას ვეკუთვნი, ვისთვისაც თავს შევინახავ წმინდად და უმანკოდ, იგი მე უწინ მკვდარს მნახავს, ვიდრე უღირსსა!
- მეფე                    ვინ არის ის კაცი?
- მარიტანა            ის კაცი ჩემი ქმარია, დონ სეზარ დე ბაზანი.
- მეფე                    (მიუახლოვდება) მაგრამ დონ სეზარ დე ბაზანი მკვდარია...
- დონ სეზარ            (შემოდის) არა, ჯერ მკვდარი არ ვარ, თქვენო უდიდებულესობავ. ვინაიდან თქვენ ინებეთ ჩემი შეწყალება.

#### გამოსვლა მეოთხე

მეფე, მარიტანა, დონ სეზარი

- მარიტანა            (სიხარულით შეჰკვივლებს) ო, ჩემო სიხარულო! ეს ხანჯალი აღარ მჭირდება, რადგან ქმარიც დამიცავს.
- მეფე                    თქვენი... თქვენი ქმარია, სინიორა, ეს კაცი?
- დონ სეზარ            (სიტყვის უთქმელად კეტავს ორივე კარს და გასაღებს გამოიღებს)
- მეფე                    (რომელიც თვალს არ აშორებს მის მოქმედებას) რას შვრებით, სინიორ?

- დონ სეზარ (მშვიდად) ვკეტავ კარებს, თქვენო უდიდებულესობავ! ვკეტავ, რომ არავინ შემოვიდეს, რომ არავინ გაიგონოს ის, რაც უნდა მოისმინოთ მხოლოდ თქვენ და სინიორამ!
- მარიტანა (იქით) ნეტავი რა უნდა თქვას ან რა უნდა ჩაიდინოს?
- დონ სეზარ ის, ვინც ამ ქალს შეურაცხყოფა მიაყენა, ჩემსავით აზნაური, ან ჯარისკაცი რომ ყოფილიყო, არ ვიცი, ვაცდიდი თუ არა დაშნის ამოღებას! ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ჰკლავენ. მაგრამ თქვენის თანდასწრებით, რადგან თქვენ ჩემი მეფე ბრძანდებით (მოიხსნის დაშნას და გაუწვდის მეფეს), მსურს იარაღი ავყარო ჩემს მრისახნებასა და შურისძიების წყურვილს. მე მეშინია. დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, თვითონ მეშინია იმ ქარიშხლისა, რაც ჩემს გულში მძვინვარებს. და თუ ის ამოვარდა, თუ დამავიწყდა, ვინ ბრძანდებით... ადამიანს ხომ ყოველთვის არ შეუძლია თავისი ნებისყოფისა და ხელების დამორჩილება.
- მეფე სინიორ, თქვენ ელაპარაკებით ესპანეთის მეფეს!
- დონ სეზარ განა სხვა ვისმეს ვეტყვოდი: აიღეთ ჩემი დაშნა და გადატეხეთ-მეთქი? (მეფე ჟესტიით მოიშორებს გაწვდილ დაშნას. დონ სეზარი გადააგდებს დაშნას მოშორებით) მიუხედავად ამისა, შეურაცხყოფილ ქმარს მაინც სურს დაკმაყოფილება, სურს შურისძიება... მაგრამ როგორ? რა უნდა ქნას, როცა შეურაცხყოფა ასეთი ხომალდიდან მოდის? როგორ შემძლია ჩემი სისუსტით მთელს თქვენს ძლევამოსილებას შევებრძოლო? განა არსებობს იმაზე საშინელი საზღაური, როგორც არის სისხლი, რომელსაც ვერ დაღვრი? დიახ, არსებობს! სისხლზე უკეთესი და სიკვდილზე უფრო საშინელი.
- მეფე არამზადა! (უცებ თავს შეიკავებს) განაგრძეთ. ჩვენ გვინდა ყველაფერი ბოლომდე ვიცოდეთ.
- მარიტანა (ქმარს, ჩუმად) დონ სეზარ, ეს ხომ მეფეა!
- დონ სეზარ (ცივად) მეფეა. ვიდრე ცოცხლობს! (მეფეს) ამ უმწეო ქალმა დახმარება და მფარველობა სთხოვა ჯერ ღმერთს და შემდეგ კი

დედოფალს, ვის სახელსაც სიყვარულით იმეორებენ მთელს ესპანეთში.

მეფე (ცოცხლად) დედოფალს?

დონ სეზარ მე გავეშურე არანხუეცის სასახლეში.

მეფე ესეც კი გაბედეთ?

დონ სეზარ (განაგრძობს) რადგან სიგიჟე იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ მის უდიდებულესობასთან პირდაპირი გზით შემიშვებდნენ, შეპარვა გადავწყვიტე. სიბნელეში ჩუმად მივიპარებოდი, რომ თავი ამერიდებინა სასახლის მცველთა მუშკეტებისათვის.

მარიტანა ო, ღმერთო ჩემო!

დონ სეზარ (ამშვიდებს მარიტანას) მე ტყვიები არ მეკარებიან. გავძვერი მეფის ბაღის კედელზე, როგორც ქურდი და არამზადა, თუმცა მე არავის ვქურდავ. ხეების სიღრმეში, ხშირი ფოთლებით დაფარულ ბილიკს გავყევი, სადაც სიბნელე ადამიანს უფრო შეუმჩნეველსა ხდის. იმ წყვილადში ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, მაგრამ მივდიოდი წინ იმ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ აუცილებლად ვნახავდი დედოფალს. და, აი, უცებ ორი ხმა შემომესმა: ეს იყო ქალისა და კაცის ხმები. კაცისა - ვნებისგან მძვინვარე, ხოლო ქალის ხმა - შეურაცხყოფილი სიამაყისგან ათრთოლებული. ფრთხილად გადავწიე ფოთლები და რას ვხედავ: მთვარის შუქით მოვერცხლილ ხეივანში, აღელვებული, მრისხანებისგან სახეგაფითრებული მშვენიერი ქალი უსმენს მამაკაცს, რომელიც მას დაჩოქილი შეჰლაღადებს და კაბის კალთაზე ათრთოლებული ხელებით ებლაუჭება... „ის თქვენ გატყუებთ“ - ეუბნება კაცი - აი, ამ წუთში, როცა მე თქვენ გელაპარაკებით, თქვენი ქმარი საყვარელთან განცხრომას ეძლევა. ეს ხდება მაშინ, როცა თქვენ მიყვარხართ ისეთი სიყვარულით, რომელიც მასზე მამაღლებს და თქვენს ღირსსა მხდის. გნებავთ დაგიმტკიცოთ ჩემი სიყვარული? შეიწირეთ ჩემი სისხლი, შეიწირეთ მთელი ჩემი სიცოცხლე! - გნებავთ დაგიმტკიცოთ მისი ღალატი? უტყუარი საბუთებით დაგიმტკიცებთ!“ - ასე ეუბნებოდა იგი ხმის კანკალით. ალბათ ხვდებით, თქვენო უდიდებულესობავ, ის მამაკაცი იყო დონ ხოზე

დე სანტარემი, რომელიც თქვენ პირველ მინისტრად და მეგობრად გაიხადეთ, ხოლო ის ქალი იყო... ესპანეთის დედოფალი!

მარიტანა

დედოფალი?

მეფე

(აღელვებული) გაიმეორეთ! გაიმეორეთ, რა სთქვით? ეს სიცრუეა, ტყუილია (იქით თავზარდაცემული) თუ ეს კაცი სიმართლეს ლაპარაკობს! (კარს მივარდება)

დონ სეზარ

(ცივად) მე ხომ მოგახსენეთ, თქვენო უდიდებულესობავ, რომ კარი დავკეტე.

მეფე

საზიზღარო!

დონ სეზარ

ხომ მოგახსენეთ, თქვენო უდიდებულესობავ, რომ შეურაცხყოფილ ქმარს შურისძიება და საზღაური სჭირდება-მეთქი. და აი, იმ დროს, როცა აზნაურის სახლში პატივის აყრა სწადიათ, სასახლეში გაუგონარ შეურაცხყოფას აყენებენ მეფეს, მინისტრი ღალატობს თავის მონარქს, ქვეშევრდომი ბედავს სიყვარული აუხსნას დედოფალს!

მეფე

დონ სეზარ, კარი გამიღეთ!

დონ სეზარ

(ღიმილით) ხომ მეთანხმებით, რომ ეს ნამდვილად ჯოჯოხეთური წამებაა, თქვენო უდიდებულესობავ.

მეფე

(მივარდება დონ სეზარს) დონ სეზარ, აიღეთ თქვენი დაშნა და თავი დაიცავით! მე ახლა ესპანეთის მეფე არა ვარ, თქვენ მე არ მიცნობთ. აიღეთ დაშნა. სისხლი სისხლის წილ! ჩემთვის მოყენებულმა შეურაცხყოფამ გაგვათანასწორა ჩვენ. თქვენ გვამზე გადავივლი, მაგრამ ამ სახლიდან კი გავალ.

მარიტანა

თქვენო უდიდებულესობავ, ღვთის გულისათვის!

მეფე

თავი დაიცავით ან მოგკლავთ!

დონ სეზარ

(მკერდს მიუშვერს) უკვე გვიან არის, თქვენო უდიდებულესობავ!

მეფე

(ხელს ჩამოუშვებს) უკვე გვიან არის?

- მარიტანა (იქით) უკვე გვიან არის?
- დონ სეზარ (ღირსებით) როდის აქეთ არის, თქვენო უდიდებულესობავ, რომ ესპანეთში კეთილშობილმა იდალგომ დაივიწყა თავის მეფის წმინდათაწმინდა უფლებების დაცვა? ნუთუ გგონიათ, რომ მე არ დავსაჯე არამზადა, რომელიც თავს ესხმოდა ჩემს პატიოსნებას, რომ ამით თქვენი პატიოსნება შეელახა? აი, მიიღეთ ის ძეწკვი, რომელიც თქვენ გულზე დაჰკიდეთ მარკიზ დე სანტარემს და რომელიც მე მოვხსენი მის გვამს! (გაუწვდის ძეწკვს)
- მარიტანა ის მკვდარია!
- მეფე თქვენ მას...
- დონ სეზარ მე მას სახეში ხელი შემოვკარ, ხოლო გულში დანა ჩავკარი. მე გადავარჩინე თქვენი პატიოსნება (უჩვენებს მარიტანაზე) ხოლო ჩემი პატიოსნება თქვენთვის მომინდვია. (მის წინ დაიჩოქებს. ამ დროს ფანჯრის იქიდან მოისმის ხმაური და შემახილები - მეფეო, მეფეო)
- მეფე (დაშნას გადაადგებს) ადექით, დონ სეზარ. (კარი ხმაურით შემოიმტვრევა.

### გამოსვლა მეხუთე

იგივენი, მარკიზი და მარკინა მონტეფიორები, ჯარისკაცი და მეფის ამალის ოფიცრები ხელში ანთებული მაშხალებით

- დიდებულნი აი სად ყოფილა მეფე!
- მეფე დამშვიდდით, ბატონებო. ჩვენ გრაფ დე ბაზანის სახლში ვართ და ესპანეთის ყველაზე ერთგული და მამაცი გრანდის მფარველობის ქვეშ ვიმყოფებით. დონ სეზარ, ამ წუთიდან თქვენ ჩემი მეგობარი ხართ. ჩემს მრჩევლად გნიშნავთ (ხაზგასმით) აქ, მადრიდში, რომელიც ასე დიდხანს მოელოდა თქვენს დაბრუნებას.
- დონ სეზარ მომიტევეთ, თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ მერჩივნა...
- მეფე ბრძანეთ.

- დონ სეზარ უფრო დაშორებულ ადგილზე მიმელო თანამდებობა.
- მეფე რაკი ასეა, გნიშნავთ მეფის ნაცვლად ვალენსიაში.
- დონ სეზარ (ხმის დამდაბლებით) თქვენო უდიდებულესობავ, მეფისნაცვლის თანამდებობა გრენადაშიც თავისუფალი უნდა იყოს. იმ ადგილს უფრო ვარჩევდი.
- მეფე (გაკვირვებით) რატომ გრენადა და არა ვალენსია?
- დონ სეზარ (გადახედავს მარიტანას) იმიტომ რომ, (უფრო ხმადაბლა) გრენადა უფრო შორს არის მადრიდიდან ვიდრე ვალენსია.
- მეფე თქვენ მართალი ხართ! (მიმართავს ოთახში მყოფთ) ბატონებო, მიესალმეთ გრენადის მეფისნაცვალს დონ სეზარ დე ბაზანს.

ფარდა.